საკროსვორდო-შემეცნებითი გაზეთი №10(252), 19 აპრილი, პარასკევი 2002 წ 40 თეთრი

# ფანტაზია

## მასში – საკროსვორდო ტურნირი

## მხოლოდ ქალბატონებისათვის



**შეავსეთ და წაიკითხეთ დღევანდელ ნომერში**

- საკროსვორდო რეიტინგის მორიგი წიაღსვლა
- საკროსვორდო „მალულა“ ფრიად და ფრიად ნაცნობი პერსონაჟებით
- სუპერკროსვორდის „ვარსკვლავები“
- კროსვორდი ერთი სიტყვისათვის ანუ ქალის როლი „ფანტაზიის“ ცხოვრებაში
- (ჩვეულებრივი) სკანდინავიური კროსვორდი
- საკროსვორდო ჩემპიონატი უმაღლესი და პირველი ლიგებისათვის.
- (არაჩვეულებრივი) სკანდინავიური კროსვორდი
- საკროსვორდო თავსატეხები
- იტალიური კროსვორდი ქართველებისათვის
- საჟურნალო გაკვეთილები ინგლისური და ესპანური ენების შემსწავლელთათვის
- მსოფლიოს დედაქალაქები და ჩვენ
- იძულებითი (სასარგებლო) ღონისძიება
- აშშ-ს ყველაზე დიდი შტატი – ალასკა
- საკროსვორდო ენციკლოპედია ანუ ასო გან-მა „ექვატორი“ თითქმის გადაკვეთა.
- პარადოქსული აფორიზმების ანთოლოგია
- XX საუკუნის 500 ყველაზე ცნობილი ადამიანი
- გაცნობა „ფანტაზიელთან“ – ლელა ბუბაშვილი
- მსოფლიო კინოს 50 ქალღმერთი –კეიტ უინსლეტი

**„ფანტაზიის“ ილუსტრირებული ისტორია**

# „ფანტაზიის" ილუსტრირებული ისტორია (1996-2001 წლები)

უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ჩვენი გაზეთის მკითხველ-მოყვარულთა შემადგენლობა ძალზედ გადახალისდა და ამას უფრო ობიექტური საფუძველი გააჩნია, ვიდრე სუბიექტური,თუმცა ახლა არ შევუდგებით ამ მიზეზთა კვლევას და გთავაზობთ ჩვენი გაზეთის განვლილი ცხოვრების ამსახველ რამოდენიმე მნიშვნელოვან ეტაპს, რაშიც გარეკანების ილუსტრაციები დაგვეხმარება. ამგვარი პუბლიკაცია კი განაპირობა მავან მკითხველთა ინტერესმა, რომლებიც ახლახან შემოგვიერთდნენ და სურთ გაიგონ,თუ რა გზა გამოვიარეთ დღევანდელობამდე.

ჩვენი გაზეთის პირველი ნომერი 1996 წლის 7 თებერვალს გამოვიდა და, როგორც ხედავთ, „კროს-ფანტაზიად" იწოდებოდა. ეს იყო A-3 ფორმატის ერთი ფურცელი,რომლის მეორე გვერდზე მოთავსებული იყო გიგანტური კროსვორდი,; ამგვარი უზარმაზარი და უსისტემო ქმნილებები კი იმ ხანებში დიდი მოთხოვნილებით სარგებლობდა. იმასაც ხედავთ,რომ პირველ გვერდზე დაფიქრებული ქალი დგას, რომლის არსებობა გარეკანის გამშვენიერებამ განაპირობა და დღემდე ერთგვარ ტრადიციად დაგვრჩა.
გაზეთი ღირდა 20 თეთრი და ამგვარი სახით იმავე წლის მაისის ჩათვლით გამოდიოდა.




1996 წ ივნისიდან გაზეთს კიდევ ორი გვერდი დაემატა და ფასიც გაორმაგდა




1997 წლიდან „ფანტაზია" რვა გვერდის მოცულობით გამოდიოდა (50 თეთრი), თუმცა მალევე მოგვიხდა უკან დახევა და 6 გვერდზე ჩამოვედით (30 თეთრი).




1997 წლის გაზაფხულზე,როცა საქართველოში ე.წ. „კაიფვორდის" ბუმი იყო, ჩვენს გაზეთს ძალზედ გაუჭირდა და საშველი სერიალებში ვინახეთ,რამაც გარკვეულწილად გადაგვარჩინა კიდეც. ამავე ხანებში ჩატარდა პირველი საკროსვორდო ჩემპიონატიც,რის შედეგსაც დღეს კარგად ხედავთ.
1998 წლის აგვისტოდან A-4 ფორმატზე გადავედით და დღემდე ასე ვარსებობთ.




2001 წლის აგვისტომდე „ფანტაზიის" აღარც ქუდი და აღარც ფორმატი არ შეგვიცვლია. სწორედ ამ ხანებში გაეცნენ და დაუახლოვდნენ მას ის ადამიანები,რომლებიც დღემდე ერთგულ მკითხველებად შემოგვრჩნენ, თუმცა ამავე ხანებში მოხდა მათთან დაშორებაც,რომლებიც ჩვენს გაზეთს მხოლოდ იმიტომ აქცევდნენ ყურადღებას,რომ მასში ამა თუ იმ რაოდენობის კროსვორდი იბეჭდებოდა.
ეს უკანასკნელი გარეკანი კი,რითაც „ფანტაზია" 2000 წელს შეეგება დღემდე არსებულ 252 ნომერში საუკეთესოდ მიგვაჩნია და გვგონია,რომ მართლაც მშვენიერი რამ გამოვიდა.
ასე რომ, „ფანტაზიის" არსებობა ჯერჯერობით გრძელდება და ვიმედოვნებთ,რომ ამგვარი ფოტოისტორიის შექმნა მომავალი ნომრებისთვისაც მოგვიწევს.




## მთავარი რედაქტორის სვეტი

...რა თქმა უნდა,ამდენი შეცდომების ჩამდენმა გამოცემამ სხვათა კრიტიკა არ უნდა იკადროს,მაგრამ იმის გამო,რომ საქმე ეხება არა პრესას, არამედ ჩვენს ე.წ. „მოლაპარაკე ჟურნალისტიკას", თავს უფლებას ვაძლევთ ორიოდ მოსაზრება გამოვთქვათ ქართული ენის სიწმინდესთან დაკავშირებით.

ლაპარაკია, ერთის შეხედვით უმნიშვნელო,მაგრამ ფრიად საინტერესო ფაქტზე (...რასაც ჩვენ მიბაძვას ვუწოდებთ და, რასაკვირველია,„სახელმწიფოებრივი პრობლემატიკის დონეზე არ აგვყავს) ამასწინათ ერთმა ტელეჟურნალისტმა ერთსა და იმავე რეპორტაჟში რამოდენიმეჯერ თქვა ასე - „ვოშინგთონ"-ო და, როგორც მიხვდით,აშშ-ს დედაქალაქი იგულისხმა. იმასაც ხედებით,რომ ჩვენ უკვე დამკვიდრებული ფორმის - „ვაშინგტონის" - მომხრენი ვართ და აი,რატომ: ამერიკელები თავისი დედაქალაქის ხსენებისას სწორედ ჩვენი ჟურნალისტის მიერ კარგად მიმსგავსებულ ფორმას ხმარობენ და ამის მიზეზი უბრალოდ მათი მეტყველების ფონეტიკური თავისებურებანი გახლავთ,რაც ჩვენი ენის მოთხოვნილებათაგან ძალზედ შორს დგას. ამის დასტურად შეგვიძლია უამრავი მაგალითი მოვიხმოთ,როცა ამა თუ იმ (ამერიკულ სინამდვილზე ბევრად უფრო ახლობელი) ტოპონიმური სივრციდან გეოგრაფიული სახელის შემოტანისას ჩვენს ენაზე მეტყველი ადამიანები ისე წარმოთქვამდნენ მას,როგორც მათთვის იყო მოსახერხებელი. განა ძნელი იყო ქართველისათვის ეთქვა „თეჰრან"? ამ სიტყვის ყოველი ბგერა და ასო ხომ ჩვეული და ნაცნობი იყო ჩვენი წინაპრებისათვის,მაგრამ მათ მაინც „თეირანი" დაგვიმკვიდრეს. რატომ? იმიტომ,რომ - ქართული ენისათვის ასე უფრო მისაღები იყო. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ჩამოგითვლით ამგვარ მაგალითებს და დასკვნები თავად გამოიტანეთ:

| | | |
|---|---|---|
| მასკვა | - | მოსკოვი |
| ბაქი | - | ბაქო |
| ისტამბულ | - | სტამბოლი |
| თაბრიზ | - | თავრიზი |
| ჰალებ | - | ალეპო |
| დეჰლი | - | დელი |
| პალი | - | პარიზი |
| ტაშქანდ | - | ტაშკენტი |
| აშქაბად | - | აშხაბადი |
| ესფაჰან | - | ისპაანი |
| რომა | - | რომი |

სხვათა შორის,არავინ ცდილობს იმას, რომ „თბილისი" თქვას ისე,როგორც ჩვენ ვამბობთ და ხან „ტიფლისად", ხან „თიელიზად" და ხან „თეფლისად" მოიხსენიებდნენ და მოიხსენიებენ ჩვენი მეზობლებიც კი.

# იძულებითი (სასარგებლო) ღონისძიება

...დღეს საკმაოდ რთული ვითარებაა შექმნილი პოლიგრაფიული პროდუქციის, და განსაკუთრებით პრესის, რეალიზაციის საქმეში. ჩვენ არ გვსურს არავის დადანაშაულება, მაგრამ ის, რომ გაზეთი მკითხველამდე ვერ მიდის და გაუვრცელებელი სახით დიდი რაოდენობით უკანვე გვიბრუნდება, მწარე სინამდვილეა.

ჩვენ გვირეკავენ და გვთხოვენ, რომ ამა თუ იმ რეგიონს ან არ ჰყოფნის „ფანტაზიის" სამშაბათ-პარასკევის ნომრები, ან საერთოდ არ აღწევს იქამდე. ვიმეორებთ, ამ უხერხულობაში არავის დადანაშაულება არ გვსურს და პრობლემის მოგვარებას სხვებს არ ვავალებთ; ისევ თავად გვსურს გავრცელების საკითხის მოგვარება და ვცდილობთ ახალი ხერხებისა და მეთოდების მოძიებას.

უახლოეს ხანში პარსკევის „ფანტაზიის" ერთ-ერთი ნომრის ყოველი ეკზემპლარი სპეციალური კოდითა და ნომრით დაინიშნება და მკითხველამდე ასე მივა. ეს ღონისძიება შემდეგ მიზნებს ისახავს:

1) დანომრილი გაზეთის შეძენისას ჩვენს ყოველ ერთგულ მკითხველს მიენიჭება საკუთარი პირობითი ნომერი, რაც მომავალში გარკვეულად გაგვიადვილებს მათთან მუშაობას.

2) ჩვენი სურვილი იქნება, რომ მაქსიმალურად ყველა მკითხველმა დაგვირეკოს ან სხვა სახით მოგვაწვდინოს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რომელ რეგიონში ცხოვრობს, რა გვარია იგი და რა ნომერი „ფანტაზია" შეხვდა მას.

3) მას შემდეგ, რაც ერთი კვირის განმავლობაში მივიღებთ ინფორმაციას ამა თუ იმ ნომრის ადრესატის შესახებ, გავათამაშებთ ლატარიას და ის, ვისაც ექნება, ვთქვათ №452 ან რომელიმე სხვა, ჩვენგან მიიღებს „ფანტაზიის" ექვსწლიანი ისტორიის პრაქტიკულად სრულ კომპლექტს.

4) ლატარია დაფუძნებული იქნება სრულიად ობიექტურ, მუდმივადცვლად და ჩვენგან შორს მდგომი მოვლენის დენადობაზე. ვთქვათ, მომგებიანი იქნება ის რიცხვი, რომელიც ციფრობრივი ნიშნებით და არა სიტყვიერად შეგვხვდება რომელიმე რუსული გამოცემის ამა თუ იმ კონკრეტულ გვერდზე...

5) გარწმუნებთ, რომ ეს ღონისძიება ორმხრივ სასარგებლო იქნება როგორც ჩვენთვის, ასევე თქვენთვისაც და იმედი გვაქვს, რომ არ დაიზარებთ და სულ რაღაც ხუთწამიანი ხანგრძლივობის სატელეფონო საუბრით მოგვაწვდით ინფორმაციას თქვენს შესახებ.




# დაადგინეთ თქვენი საკროსვორდო რეიტინგი



| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | | 17 | |
| 2 | | 18 | |
| 3 | | 19 | |
| 4 | | 20 | |
| 5 | | 21 | |
| 6 | | 22 | |
| 7 | | 23 | |
| 8 | | 24 | |
| 9 | | 25 | |
| 10 | | 26 | |
| 11 | | 27 | |
| 12 | | 28 | |
| 13 | | 29 | |
| 14 | | 30 | |
| 15 | | 31 | |
| 16 | | 32 | |

პასუხები მე-18 გვერდზე


1


2


3

1. ადამიანი, რომელსაც სხვისი გაჯანმრთელება სამსახურეობრივად აკისრია (**3**). 2. ჩვენი კომპოზიტური ტოპონიმი ერთობ ტექნიკური შეფერილობით (**3**). 3. ყველაზე არასასიამოვნო (...და დამამცირებელიც კი!) ვითარება ჩვენს ცხოვრებაში (**2**). 4. კვიპროსის ქალაქიც და საფეხბურთო კლუბიც (**10**). 5. პოეტური გამოცანის სახესხვაობა (**4**). 6. ადამიანი, რომელიც საკუთარი ქვეყნის ლიტერატურის გამდიდრებას ცდილობს სხვის ხარჯზე (**3**). 7. ყველაზე „მიწიერი" ფორმა (**1**). 8. მოძრავი წყლის კონფიგურაციული სახესხვაობა (**2**). 9. „დედამიწის სახურავად" წოდებული სივრცე (**4**). 10. **იხილეთ ფოტო №1** და ერთ-ერთი ის სიტყვა ჩაწერეთ კროსვორდში, რაც ამ ქალბატონის ხილვისას აუცილებლად გაგახსენდებათ (**4**). 11. ახლობელი ადამიანის სახესხვაობა (**2**). 12. **კვლავ იხილეთ ფოტო №1** და გაიხსენეთ ამ ქალბატონთან ფრიად და ფრიად დაახლოებული ტოპონიმი (**7**). 13. თავის ერთ-ერთი თითქმის აბსტრაქტული მტერი (**4**). 14. სქესობრივ ცხოვრებასთან დაკავშირებული დარგი სამეცნიერო ცოდნისა (**6**). 15. სხეულის ერთ-ერთი ყველაზე „მზარდი" ნაწილი (**3**). 16. **იხილეთ ფოტო №2** და ამ ქალბატონისათვის ეპითეტი შეარჩიეთ ჟამთასვლის გათვალისწინებით (**5**). 17. საგანგებო დანიშნულების მაღალი ნაგებობა (**3**). 18. საგანგებო დანიშნულების მქონე ტექნიკური ჭურჭელი (**4**). 19. ადამიანის სიცოცხლისათვის აუცილებელი ნივთიერება (**4**). 20. კამათი ასეთიც შეიძლება იყოს (**2**). 21. დიდი მსახიობის, კაჩალოვის კუთვნილი არსება, რომელსაც ესენინმა ლექსიც კი მიუძღვნა (**4**). 22. ვახტანგ გორგასლის სახელთან დაკავშირებული ისტორიული ციხესიმაგრე (**4**). 23. ერთ-ერთი ის ქვეყანა, რომელიც 2002 წელს ყველას პირზე აკერია (**3**). 24. მითოლოგიური ქალბატონი რემბრანდტის შემოქმედებიდან (**7**). 25. მცენარეული წარმონაქმნის ერთობლიობა, რასაც ხშირად მოზარდ თაობას ადარებენ (**4**). 26. ერთ-ერთი სპორტული ასპარეზობის სასიგნალო დანიშნულების ინსტრუმენტი (**6**). 27. რა იყო მთელი საბჭოთა ხალხი კომუნისტურ ეპოქაში, თუ სკკპ-ს (პარტიის) ერთ შეთხზულ პროფესიას გავიხსენებთ? (**5**). 28. **იხილეთ ფოტო №3** და... ჩაწერეთ კროსვორდში შესაფერისი სიტყვა (**6**). 29. ჩვენი სახელგანთქმული საესტრადო ანსამბლი (**3**). 30. ლუის კეროლის საყვარელი მეცნიერება (**3**). 31. ყველასი და ყველაფრის საშველი უებარი რამ (**5**). 32. ცნობილი ქართველი თურქოლოგი, აკადემიკოსი, ბატონი სერგი.... (**10**).

| | |
|---|---|
| **01-30** | - ბევრმა დიდმა კროსვორდისტმაც ასე დაიწყო. |
| **31-60** | - თქვენზე უთქვამთ - „ნიჭიერია, მაგრამ ზარმაციაო"?- |
| **61-80** | კარგია, მა-გრამ მეტი შეგიძლიათ. |
| **81-100** | - ყოჩაღ! მომწონს თქვენი მიზანსწრაფვა! |
| **101-120** | - შესანიშნავ-ია, ბატონო! |
| **121-132** | - ბრავო მაესტრო! |
| **133** | - კითხვა კარგი გცოდნიათ! |

## საფეხბურთო ვიქტორინის მონაწილეთა საყურადღებოდ!

ერთთვიანი იძულებითი შესვენების გამო ვერ ვახერხებთ საფეხბურთო ვიქტორინის აღდგენას, რაც დაკავშირებულია როგორც შემოქმედებით, ასევე ფინანსურ პრობლემებთან.

დიდი ბოდიში უნდა მოვუხადოთ მათ, ვინც ინტერესით ჩაერთვნენ ამ კონკურსში და თავს იმითლა ვიმშვიდებთ, რომ მხოლოდ სამი ტურის გამართვა მოხერხდა და მისი შეწყვეტა დიდ მორალურ უხერხულობას არ მოჰგვრის ვიქტორინაში მონაწილე ადამიანებს.

*ინგლისური ენის შემსწავლელთათვის*

## უილიამ შექსპირი სონეტები



**დაინტერესებული მკითხველების გარკვეული ნაწილის თხოვნით დღეიდან შემოგთავაზებთ ბატონი რეზო თაბუკაშვილის დიდებულ თარგმანებსაც**

**73.**

**That time of year thou mayst in me behold**
**When yellow leaves, or none, or few, do hang**
**Upon those boughs which shake against the cold,**
**Bare ruin'd choirs, where late the sweet birds sang.**
**In me thou seest the twilight of such day**
**As after sunset fadeth in the west,**
**Which by and by black night doth take away,**
**Death's second self, that seals up all in rest.**
**In me thou see'st the glowing of such fire**
**That on the ashes of his youth doth lie,**
**As the death−bed whereon it must expire**
**Consumed with that which it was nourish'd by.**

**This thou perceivest, which makes thy love more strong,**
**To love that well which thou must leave ere long.**

**С.Я. МАРШАК**

**То время года видишь ты во мне,**
**Когда один−другой багряный лист**
**От холода трепещет в вышине −**
**На хорах, где умолк веселый свист.**
**Во мне ты видишь тот вечерний час,**
**Когда поблек на западе закат**
**И купол неба, отнятый у нас,**
**Подобьем смерти − сумраком объят.**
**Во мне ты видишь блеск того огня,**
**Который гаснет в пепле прошлых дней,**
**И то, что жизнью было для меня,**
**Могилою становится моей.**
**Ты видишь все. Но близостью конца**
**Теснее наши связаны сердца!**

**რეზო თაბუკაშვილის თარგმანი**

შენ ჩემში უკვე შემოდგომის სიშიშვლეს ხედავ:
რტოებს სიყვითლე ფოთლებისა შემოძარცვია,
ფრინველთ გალობა შეუცვლია გოდებას ხეთა,
და ტყეს სამოსი არასოდეს თითქოს არ ცმია.
შენ ჩემში ხედავ წარსულ დღეებს მიმწუხრიანებს,
მეწამულ სხივებს დასავლეთის ცაზე მოფენილს,
ქრება ნათელი, შუაღამე ავად ხრიალებს
და მოუსავლეთს ემგვანება წუთისოფელი.
ვიცი, რომ უკვე მიმქრალ კოცონს მამგვანებ გულში,
ღადარი დღეებს დაუნაცრავთ ცხარე ცრემლიანთ,
და რაც სინაზით ძიძაობდა სიცოცხლეს გუშინ,
ახლა მისივე სასიკვდილო სარეცელია.
რაც უფრო ამჩნევ, - სააქაოს თითქმის აღარ ვარ,
მით უფრო მეტრფი, ვით განწირულს დასამარხავად.

---

დრომ გადათელა ჩემი სული მძიმე ფლოქვებით,
დრომ ღამის მეკვლედ მომიქცია ცისკრის ტოროლა
და შემოდგომას მოღწეული ხმელი ფოთლები
საფარფატოდღა დამიტოვა თითოორალა.
მიტომაც ხედავ ჩემს მზერაში სიცოცხლის დამლევს,
ჩემს წუთისოფელს ჩამავალ მზეს მიტომ ადრიან,
გარდაცვალების მოციქულად მოვლენილ ღამეს
მიტომ ვუმზადებ საბრძანებელს დილაადრიან.
მიტომაც ვდგავარ დროის ფერფლით გარსმოხვეული,
მიტომ მამსგავსებ სიყმაწვილის მიმქარალ ორეულს,
მშიერი მიწის საკვებადღა შემრჩა სხეული
და მიტომ მხედავ მე სიკვდილით ვნებამორეულს.

და რადგან ასე დავრდომილს და დღემოკლეს მხედავ,
მე შენს სიყვარულს უფრო ძლიერ ამიტომ ვბედავ.

**თარგმნა ალ. ელერდაშვილმა**

## საკროსვორდო შელოცვა



**თარაზულად**: **1**. ვინ იმალება კროსვორდის უკან (სახელი და გვარი)? **11**. ზედაპირი, რომლის წვერო მეორე ზედაპირზე დასრიალებს. **12**. პარიზელი მუშების გაერთიანება. **13**. ლონდონის პანორამის ნაწილი. **14**. სხეულის დამტვრეული ნაწილების ექიმი. **15**. ტერიტ-ადმ. ერთეული ფეოდალურ საქართველოში. **17**. რა ჰქვია კომპოზიტორ დუღაშვილს? **18**. ცხოვრებისათვის საჭირო რამ. **21**. უსახლკარო ანუ როგორი? **22**. ონისეს დამღუპველი ქალი. **23**. „ეს“ შეიძლება გაუვიდეს ყველაფერს. **26**. საქალაქო ტრანსპორტი. **28**. გერმანიის მიწაც და ქალაქიც. **30**. 60-იანი წწ. ცნობილი ველოსიპედისტი,ომარ ფხაკაძის მეტოქე. **31**. გაზეთის გამყიდველები ანუ (ვინ-ებ-ი)?



**შვეულად**: **2**. ისტორიული რეგიონი ირანის დასავლეთ ნაწილში. **3**. ერთდროს ფრიად და ფრიად „საშოპტურო“ აღმოსავლური ქალაქი. **4**. სტალინისდროინდელი საბჭოეთის მაღალჩინოსანი ფუნქციონერი. **5**. „სამეურნეო-პოლიტიკური“ ცნება, რაც აშშ-ს მე-40 პრეზიდენტის გვარს უკავშირდება. **6**. აშშ-ს შტატი. **7**. ის, რაც ცხენსაც კლავს.... ექვსი გრამის ოდენობითაც კი. **8**. სახელი ქალისა, რომლის როლი იზაბელ აჯანიმ განასახიერა და „ფანტაზიის“ დღევანდელ ნომერშიც გვხვდება. **9**. (ვინ-ებ-ი) არიან ისინი, ვინც, ასე ვთქვათ, გვაშუქებენ? **10**. იხილეთ ეს მუხლებმოშიშვლებული ლამაზი ქალი და მისი გვარი გაიხსენეთ. **16**. სადაური იყო სპარტაკი? **19**. ქათმის ნაწილი (...რაც ქალებს უყვართ რატომღაც). **20**. მაიმუნის სახეობა. **24**. აღა-მაჰმად-ხანის „სამკურნალო ცენტრი“ თბილისში. **25**. კუკარაჩასათვის დეიდად წოდებული ქალბატონი. **27**. ძველბერძნული თეატრის შემადგენელი ნაწილი. **29**. ჩვენს ცნობიერებაში არსებული (მავანი) ხუნჭუა.



**თარაზულად**:

1. როგორი სიძეები არ იმსახურებდნენ დიდგვაროვანთა ყურადღებას? 6. ამგვარი რამ, კაცმა რომ თქვას, ნებისმიერ საწყალოსნო სივრცეს გააჩნია. 11. ენა შეიძლება ასეთიც იყოს, თუმცა ცოტა უცნაურად კი აღიქმება. 12. მარილის ნაკლებობით გამოწვეული რელიეფური ფორმა. 14. ის, რაც ბევრ შეძლებულ გლეხს ეწია კომუნისტური ეპოქის გარიჟრაჟზე. 15. სამუშაო ფართის სახესხვაობა ჩვენგან გადაქროლებულ ეპოქაში. 17. ავტომობილის შემადგენელი ნაწილი. 18. განსჯა-განხილვასთან დაკავშირებული განზოგადებული ცნება. 19. დედამიწელთა გარკვეული ნაწილის შემადგენელი ატრიბუტი. 22. სამოციანი წლების საბჭოეთის მოწინავე მქსოველი ქალი, კომუნისტ მოგვთა ფავორიტი. 23. ის, რაც არ შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი, მაგრამ მაინც უნდა იქნეს გათვალისწინებული დიდ საქმეში. 25. იყო ერთი საბავშვო ლექსი, რომლის მთავარი ბიჭი სკოლაში „სულ პირველი“ მიდიოდა ხოლმე... რა ერქვა იმ ბიჭს? 26. ერთად თავმოყრილ მარკებს (...ან მისთანებს) რა შეიძლება ეწოდოს? 28. რეაბილიტირებული ანუ როგორი? 29. უმწიკვლო ანუ როგორი? 33. მოდრეკილი ანუ როგორი? 34. წვიმას მოწყურებული ანუ როგორი? 36. ეს სიტყვა არაბული ძირიდან წამოვიდა და ჩვენში ორად გაიყო - ერთი ნახევრად ღია სივრცეს ეკვრის, მეორე მთლად დახშულს (კროსვორდში ორივე ჩაიწერება). 37. გაციების შედეგი. 38. მწვანით მოსილი სივრცე.






**შვეულად**:

2. (სწორედ ამ სიტყვისათვის შეიქმნა ეს კროსვორდი) რა სამსიტყვიანი კომპოზიტი შეესაბამება მშვენიერ გრეტა სკაკის ამ პოზიციაში? 3. სამეწარმეო და სახელოვნობო გაერთიანება. 4. მწერალ დანილევსკის მიერ ასახული მავანი „კნიაჟნა“. 5. ველობოლი, ავტობოლი... კიდევ? 7. ვინაა ქართველთა უმრავლესობა... უმცირესობაში მყოფი ქართველების აზრით? 8. ორსიტყვიანი ქართული კომპოზიტი, რაც ამორალურობასთანაა წილნაყარი. 9. კიდევ ერთი ქართული კომპოზიტი, რაც უსაზღვროების გამოსახატავად იხმარება. 10. ბევრჯერ გვიკითხავს და ახლაც გეკითხებით - რა არის ის, რაც ლავუაზიემ თავის კანონში თავად არ იცოდა. 13. როგორი სტატუსის ადამიანი სჭირდება არასანდო ქვეყანაში მიმდინარე არჩევნებს. 16. ქართული წარმოების სიგარეტი. 20. ოინთა და ხრიკთა მჩხიბავობა ანუ რა.... არაქართულად, მაგრამ ქართული ბოლოსართით. 21. **გრამატიკული ტესტი**: მეტისმეტი სინათლის გამიმხატველი ქმედება ჩასვით II სერიის წყვეტილში, დაურთეთ რთული ზმნისწინი, მესამე სუბიექტური პირის და ვნებითი გვარის ნიშნები და თქვენც გეშველებათ და მეც. 24. ჩიპის მეგობარი. 27. როგორი ყოფილა სიბერე? (გაბრმავებს, გაყურუებს, გაუძლურებს... ჯანდაბას მაგის თავი!) 30. ამბიციური ანუ როგორი? 31. უდროო ანუ როგორი? 32. გრეხვა-ხლართვის შედეგად მიღებული ანუ როგორი? 35. სულხან-საბას ფრანგი მასპინძელი.

## აფორიზმების ანთოლოგია

კრიტიკოსი არის კაცი, ვინც საკუთარი ლუკმა-პურისათვის სხვას მადას უკარგავს.

**უცნობი ავტორი**

აქვს თუ არა უფლება კრიტიკოსს იმსჯელოს ერბოკვერცხზე, თუ მას თავად არასოდეს დაუდია კვერცხი?

**კლეიტონ როსონი**

გაკრიტიკება ნიშნავს დაუმტკიცო ავტორს ის, რაც მან არ გააკეთა ისე, როგორც კრიტიკოსი გააკეთებდა, რომ შესძლებოდა.

**კარელ ჩაპეკი**

თუ კრიტიკოსის თვალს ცრემლი მოერია, მის აზრს უკვე მნიშვნელობა აღარ აქვს.

**ჰენრიხ ჰეინე**

კრიტიკოსს ევალება ხალხი მოიყვანოს გონზე, ხელოვანის ვალი კი კრიტიკოსის მორჯულებაა

**ოსკარ უაილდი**

კრიტიკოსი ცდილობს გაუგოს ხელოვანს, საპირისპირო თანაგრძნობის გარეშე.

**ლეშეკ კუმორი**



კრიტიკოსი არის ადამიანი, რომელმაც საკუთარი მადა გაყიდა.

**უცნობი ავტორი**

არსებობენ კრიტიკოსები, რომლებიც ავტორების ქმნილებას მხოლოდ საკუთარი რეცენზიის ეპიგრაფად თვლიან.

**სტანისლავ ეჟი ლეცი**

მიესალმე ნებიემიერ სტატიას შენს შესახებ, თუ, რა თქმა უნდა, ის სამგლოვიარო ჩარჩოში არაა ჩასმული.

**ბრენდან ბიხანი**

რეცენზიის დაწერას იმდენი დრო მიაქვს, რომ ნაწარმოების წასაკითხად აღარავის სცალია.

**გრაუჩო მარქსი**

მე არ ვკითხულობ ჩემი წიგნების კრიტიკას, უბრალოდ მათს სიგრძეს ვზომავ.

**უცნობი ავტორი**

## თარაზულად:

**1**. ფერადი ტელეგადაცემის ერთ-ერთი ტიპი. **4**. ვულკანური წარმოშობის ქანი. **8**. ჩრდილოეთ ამერიკაში მოსახლე ინდიელების საცხოვრებელი ნაგებობა. **14**. „წმინდა პეტრეს“ სეხნია ქალაქის ყოფილი სახელი. **15**. შორ დისტანციაზე მორბენალი მძლეოსანი. **16**. ნიადაგის მყარი საფარი. **19**. რაიმე ნიშან-თვისებათა დამთხვევა ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ მოვლენებში. **20**. ნოდარ დუმბაძის „ერთი ცის ქვეშ“-ის პერსონაჟი ბიჭი. **21**. **იხილეთ ფოტო№6** და მისი კინოპერსონაჟის სახელი გაიხსენეთ. **24**. მელოდია, რომელიც ჟღერს ჭიდაობაზე. **25**. კანადის ერთ-ერთი უდიდესი მდინარეთაგანი. **26**. რელიგიურ-მისტიური წარმოდგენა შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპაში. **30**. ვინ არის უოლტ დისნეისეული სკრუჯ მაკ-დაკი თავისი არსით? **31**. ლობიოთი, კარტოფილით, კომბოსტოთი და სხვა მრავალი ინგრედიენტით შეზავებული საჭმელი. **32**. პერსონაჟი ფილმისა „უდიპლომო სასიძო“. **36**. რეჟისორი, რომელმაც კენ კიზის ცნობილი რომანის, „ვიღაცამ გუგულის ბუდეს გადაუფრინა“ მრავალ-„ოსკარ“-ოსანი ეკრანიზაცია შექმნა. **37**. აშშ-ს საავტომობილო კომპანია. **38**. **იხილეთ ფოტო№3** და ამ კაცის სახელი გაიხსენეთ. **43**. პანამის ფულის ერთეული. **44**. როგორი შეიძლება იყოს იასამანი ჩვენს ცნობიერებაში (...და ყოფიერებაშიც)? **45**. მატერია, რომელიც ასოცირდება ლევი სტრაუსის პიროვნებასთან. **46**. გოჭის ერთ-ერთი მოდიფიკაცია. **50**. თითოეული ნაწარმოებთაგანი, რომელსაც ქმნიდა სკოტ ჯოპლინი. **51**. ქალაქი ინდოეთში, რომლის სახელი ჩვენ იმ ფრინველს გვაგონებს, რომელსაც ინდოელობას მივაწერთ. **52**. ზომით ყველაზე დიდი მღრღნელი დედამიწაზე. **55**. რომის იმპერატორი ჩვენი წელთააღრიცხვის პირველ საუკუნეში. **56**. პერსონაჟი ფილმისა „შეხვედრა მთაში“. **57**. (ვიტკომბ ჯადსონის მიერ მოგონილი) ნაწილი ჩვენი ტანისამოსისა. **61**. უმთავრესად მცენარეული წარმოშობის ტუტისებური ორგანული ნივთიერებანი (მრ. რიცხვი). **62**. აშშ-ს პრეზიდენტი ჰიროსიმაში და ნაგასაკიში იმ ავადსახსენებელი ბომბების ჩაგდების დროს. **66**. უცნობად შერაცხული ასო ლათინური ანბანისა. **67**. თეატრისა და კინოს ინგლისელი მსახიობი, მთავარი როლის შემსრულებელი ედვარდ ოლბის პიესის ეკრანიზაციაში „ვის ეშინია ვირჯინია ვულფის?“. **68**. წყალსა და წებოში გაქნილი საღებავი. **69**. მწერის განვითარების ერთ-ერთი სტადია. **74**. მუნჯი როლების შემსრულებელი მსახიობი. **75**. ინგლისური უიკ-ენდის ქართული ვარიანტი. **76**. ერთი სახელის მქონე ქალაქი და მდინარე რუმინეთში. **79**. სახელმწიფო ცენტრალურ ამერიკაში. **80**. მუსიკალური ნაწარმოების ტემპის განმსაზღვრელი ხელსაწყო. **81**. კუნძული, სადაც ნაპოლეონი დაატყვევეს. **85**. რას უწოდა ანატოლ ფრანსმა „იმედგაცრუების უკანასკნელი სტადია“? **86**. აშშ-ს შტატი (თურმე ამავე სახელწოდების კრეისერი ჰყავდათ ბრიტანელებს ფლოტში XIX საუკუნის ბოლოს). **87**. **იხილეთ ფოტო№4**, ტინა... **91**. ინდუიზმში ბრაჰმას, ვიშნუს და შივას სამების გამოხატულება. **92**. მოწყობილობა, რომელიც ყლაპავს ჟეტონებს და ატარებს მსურველებს სტადიონის ტრიბუნებისაკენ. **93**. ინგლისურად ამ მღრღნელს - Racoon ეწოდება, რუსულად და ქართულად ერთნაირად ჟღერს, როგორ? **97**. პროფესიონალი „დამბეზღებელის“ მოსახსენიებელი სიტყვა. **98**. მუქი ფერის მაგარი ლუდის სორტი. **99**. პარაგვაული ჩაი, რომელსაც პარაგვაელები მცენარე ბაძგის ფოთლებისაგან აყენებენ. **103**. ფოთლებიანი ხის მოკაფული შტოები. **104**. კაცობრიობის პირველი მსხვერპლი. **105**. მდინარე მოლდავეთისა და რუმინეთის საზღვარზე, დუნაის მარცხენა შენაკადი. **106**. გვარი კაცისა, რომელიც დაენათლა რუსთაველისა და მარჯანიშვილის სახელობის სივრცეების ერთ-ერთ დამაკავშირებელ „მაგისტრალს“. **110**. თითოეული იმათგანი, რომლებიც ოქროსფერ ვარსკვლავს ატარებდნენ მეორე მსოფლიო ომის დროს. **111**. რუსულად - Финифть, ქართულად? **112**. საგაზეთო ნაშრომი. **116**. ავსტრიელი მწერლის, გუსტავ მეირინკის რომანი. **117**. ალექსანდრე ყაზბეგის მოთხრობა. **118**. ძროხა - დაძროხებამდე. **122**. წიწვოვანი დეკორატიული მცენარე, რომელიც უპირატესად ამერიკის კონტინენტებზე ხარობს. **123**. ძველი, გაყვითლებული და მტვერდადებული დოკუმენტების მცველი. **127**. რა არის ალექსეი ტოლსტოის „Хождение по мукам“?. **128**. ალექსანდრე დიუმა-მამას ბენვენუტო ჩელინის ცხოვრების აღმწერი რომანი. **129**. აბრევიატურის ერთ-ერთი სახესხვაობა. **130**. სხვადასხვა იურიდიული დოკუმენტების იურიდიული ძალის მიმცემი პირი. **131**. კანის მოვლისათვის განკუთვნილი კოსმეტიკურ-ჰიგიენური საშუალება. **132**. საქართველოს უბატონო მხარე.

## შვეულად:

**1**. როგორი შეიძლება იყოს თითი? **2**. ყაზახი პოეტისა და განმანათლებლის, აბაის გვარი. **3**. აღორძინების ეპოქის იტალიელი ფერმწერი და გრავიორი, ანდრეა.... **5**. სარქველიანი ჭურჭელი ნავთისათვის. **6**. მორმონებით დასახლებული შტატი აშშ-ში. **7**. გამოჩენილი რუსი პიანისტი, ჰენრიხ... **9**. “მაინას” ანტონიმი-ცნება. **10**. პროფესია კაცისა, რომელსაც პროფესიულად „უყვარს“ სხვადასხვა ელექტროდანიშნულების ბოძები. **11**. (ამის თარგმნა, ალბათ, არ ღირს) философское учение, трактующее философию как общий метод решения проблем, которые встают перед людьми в различных жизненных ситуациях. **12**. კაცობრიობის ერთ-ერთი უდიდესი დანიელი ასტრონომი, ტიხო... (1546-1601). **13**. რა ეწოდება ქმედებას, როდესაც ადამიანი ამჟღავნებს რომელიმე ავადმყოფობის სიმპტომებს, მაშინ როცა აბსოლუტურად ჯანმრთელია? **17**. **იხილეთ ფოტო№2**, ფრენკ.... **18**. ქარიმ-აბდულ ჯაბარის ნამდვილი გვარი. **22**. ტელემაქეს აღმზრდელი ჰომეროსის „ოდისეაში“. **23**. მზის ძველეგვიპტური ღვთაება. **27**. ორკაცა ხერხი. **28**. **იხილეთ ფოტო №1**. **29**. ესპანეთის ახლანდელი მონარქის სახელთაგანი. **33**. რეჟისორი ფილმისა „დიდი მწვანე ველი“. **34**. ბულგარეთის კომუნისტური მოძრაობის ლიდერი წარსულში. **35**. ის, რისი მფლობელიც იყო კაცი, რომელიც ტყეში პანტას ეძებდა? **39**. სახლს მიშენებული დამხმარე ნაგებობა. **40**. ერთი გვარის წარმომადგენელი შოტლანდიელების ერთიანობა. **41**. ცნობილი ამერიკელი ჩოგბურთელი, ჯიმ.... **42**. თვალის ერთ-ერთი დაავადება. **47**. როგორი შეიძლება იყოს ურთიერთსაპირისპირო გრძნობების მომცველი გრძნობა? **48**. (უკაცრავად და!) ფაღარათის საპირისპირო პროცესის მოსახსენიებელი სიტყვა. **49**. მუსლიმანთა დღესასწაული. **53**. უკან მაჩანჩალა პირების საერთო სახელი. **54**. ნახტომის ერთ-ერთი სახესხვაობა ბალეტში. **58**. ელიზა დულიტლის ფონეტიკის მასწავლებელი, ჰენრი.... **59**. ერთ-ერთი ცნობილი ასტეროიდთაგანი, რომელსაც სახელი ძველფინიკიური ნაყოფიერების ღმერთისაგან დაერქვა. **60**. თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის დარღვევა ან შეწყვეტა. **63**. საზოგადო სახელი ყოველი, სამყაროს დასასრულის შესახებ მქადაგებელი სწავლებისა. **64**. კოსმიური წყარო რადიო, ოპტიკური და გამაგამოსხივებისა, რომელიც ჩვენამდე, დედამიწელებამდე პულსირებადი იმპულსების სახით აღწევს. **65**. იგივეა, რაც მღვდელთმთავარი. **70**. ენობრივ ერთეულთა განლაგება ერთმანეთის მიმართ ლინგვისტიკაში. **71**. XX საუკუნის გერმანელი მწერალი, ავტორი რომანებისა „გვირაბი“ და „ცისფერი ლენტი“. **72**. ქალაქი რუსეთში მდინარე ტურაზე. **73**. ბოლესლავ პრუსის რომანი. **77**. **იხილეთ ფოტო№5** და ამ ქალის განსახიერებული პერსონაჟის გვარი გაიხსენეთ „საიდუმლო მასალებში“. **78**. ევროპული საერთაშორისო, საფეხბურთო ნაკლებად პრესტიჟული ტურნირი. **82**. ცოდნის შემოწმების ერთ-ერთი ფორმა შეჯიბრების სახით. **83**. ნახუცრიშვილის „ნაცარქექიას“ პერსონაჟი. **84**. რუსი მწერალი, ავტორი რომანებისა „გზა არსაით“ და „ალისფერი აფრები“. **88**. მოქმედი ვულკანი ტირენის ზღვაში მდებარე ამავე სახელის მქონე კუნძულზე. **89**. ერთ-ერთი პოეტური ხერხი, როდესაც ავტორის სახელი იკითხება ლექსის სტრიქონების პირველი ასოების ფონზე. **90**. ბიზანტიელი გლეხი, რომელიც სამხედროვალდებული იყო საკუთარი ქვეყნის წინაშე შუა საუკუნეებში. **94**. ფილმ „არაჩვეულებრივი გამოფენის“ ნეკრო-პერსონაჟი. **95**. როგორი შეიძლება იყოს ხალხი? **96**. კუჭის განთავისუფლება კუჭისათვის არასაჭირო ნივთიერებებისაგან. **100**. იგივეა, რაც დეკეული. **101**. ქალაქი აშშ-ში, ჯორჯიას შტატში. **102**. რა ჰქვია ქართველი კომუნისტების ლიდერს? **107**. რელიგია, რომელიც დაფუძნებულია ბევრი ღმერთის თაყვანისცემაზე. **108**. რომის იმპერატორი ჩვენი წელთააღრიცხვის I საუკუნეში. **109**. სისხლის გადამტანი „მაგისტრალი“. **113**. ისრაელის შეკელის შემადგენელი წვრილი ფული. **114**. რუსეთის მთიანი მხარე. **115**. ავტორისეული შენიშვნა ტექსტში. **119**. უნგრელი დიზაინერი, რომელმაც სპეციფიური გეომეტრიული სხეულით გააცნო თავი მთელ მსოფლიოს. **120**. უსინათლოთა ანბანის შემქმნელი ფრანგი ყმაწვილი. **121**. ტეხასის შტატის ადმინისტრაციული ცენტრი. **124**. პერსონაჟი ფილმისა „შეწყვეტილი სიმღერა“. **125**. თეიმურაზ ხევისთავის მოსამსახურე. **126**. XX საუკუნის რუსი მწერლის გავრიილ ტროეპოლსკის შავყურა თეთრი ძაღლი.

**შეადგინა**
**ვახო ელერდაშვილმა**




1


2


3


4


5


6

**Vertical (top):**

- ცხენის ტრამვაი 5
- პოლივუდის გრეგორი 4
- შოტლანდიის ქალაქი 6
- (......) ჯორჯია 3
- შვეიცარული საათების ფირმა 7
- მარო თარხნიშვილის სიმღერა 10
- საბჭოთა სატვირთო ავტომობილი 4
- გერმანელი ფიზიკოსი 3
- ყველაზე ცნობილი ტომი 6
- მწიგნობარ მაშტოცს ერქვა 7
- (......) ხაჩატურიანი 4
- სისხლძარღვი 5
- თურქული მაწონი 6
- სარეცხი ფხვნილი 4
- ზოგჯერ გლეჯვის წინაა 5
- სამკურნალო მცენარე 4
- „თეთრი (.......)“ 9
- წვალება 8
- რევოლუციონერი ოლივერი 8
- (.....) ჩელენტანო 7
- კასპის სოფელი 5
- უფალი იუდაიზმში 6
- ძვ.მინსკელი ფეხბურთელი 7
- აშარი 3
- სცენა 7
- იბნ სინა 7
- ძალზედ მსურველი 7
- სერსოს ინვენტარი 5
- რაჭის სოფელი 3
- აზიის ქვეყანა 7
- სევანის თევზი 6




**Horizontal (left):**

- მაფიოზური დაჯგუფება 5
- ვესწრები 3
- შავი მბზინავი დიელექტრიკი 7
- დროის მონაკვეთი 4
- გაუმარჯოს! (ფრანგ.) 4
- სუფრა – თავისი არსით 14
- კავერინის კაპიტნები 3
- ბლანკოს ქვრივი 6
- ფავორიტი ყმაწვილი 4
- საქოვარი 6
- კახეთის ისტ. ძეგლი 5
- ლუდი 4
- საბჭოური მანქანა 6
- შეხედულებათა შეჯახება 7
- (.....) პეპბერნი 4
- თურქული მარგარინი 3
- სიღნაღის სოფელი 5
- ინერტული გაზი 5
- ვირტუოზ. პასაჟი სიმღერაში 6
- ჯარის წყობა 4
- ჩვენი ისტ. მხარე 3
- ირანის ფული 5
- დარტყმა (.....)! 4
- ქ-ნი გოძიაშვილი 6
- შორისდებული 3
- არსაკიძის ეროვნება 4
- არგენტინის ქალაქი 7
- საშველი 7
- რუსული თვითმფრინავი 4
- მოსულიშვილი 4
- მე-2 ან მე-3 ადგილოსანი 8
- (......) მაკდაუელი 4
- ფართო ხედი 8
- (.......) ორბაკაიტე 8
- ამერიკული ზუბრი 6

ქიმიური ელემენტი
დას. სამოას დედაქალაქი
ცეკვის ილეთი
თუშეთის ტოპონიმი
მეშვიდე / სამი

კათოლიკ. ფილოსოფ. მიმართულება
ერთ-ერთი ნაკაშია („თუთახია")
მექსიკის ფული
ეროვნება / პირველი
ინდური ფილოსოფ. სისტემა

საიზოლაციო მასალა
ქსოვილი / ქუდი
წონის ერთეული
სითხის საცავი ჭურჭელი

(....) სოიერი / ხაიამის ლექსი
(....) ია / მაგარი ქანი

აფრიკის ქვეყანა / მაგარი ხე

ფრანგი მსახიობი / მესამე
გეომეტრიული ფიგურა
თავთავის კონა

საპალტოე ქსოვილი
წერილობითი მიმართვა
აზელილი კარტოფილი
ჰოკეის ინვენტარი
სუფრის ინვენტარი
მედეას სამშობლო

მეორე / წითელი დღე
სანგარი
პატარა ცული

23 აპრილს, სამშაბათის გამოშვებაში




ძველი ინდური დამწერლობა
გუიმპლენის სატრფო
იაპონური თეატრი

ცივი იარაღი
მუსიკ. საკრავი
უბედურებათა ყუთის პატრონი
ყვავილი / კავშირი

ჩვენი კინო გოგონა
დედმამიშვილი
ლინდგრენის ბიჭუნა
მუსიკალური წყობა

თმა მუქაში
ქალა / ვეჩის საზიდი გერმან.
სამხრეთ-ამერიკ. მცენარე
არსენა მარაბდელის რუსი

ჭანკვეტაძე
ჩარკვიანის ლექსი

მეტყველების ორგანო

ღუმელის ჯოხი / ქვ.ჩინ. თამაში
სახლში
სილიკატების ჯგუფის მინერალი
დიახ / ცუდად მეტყველი

გამზრდელი (ძვ.)
ესტონელი კომპოზიტორი

გამარჯოს! / მზის ღმერთი
რიკტაფელას თამაში
გაი(....) / პატარა დაბალი
სკარლეტის როლში

დედალი / შეცხადება
დათიკოს მსახური

(....) საიდან. რისთვის
მარცვლოვანი კულტურა
მიმართვა მეფისადმი
დავით (....)
„ობობასებრი" მაიმუნი
„იზას" ავტორი / მარტო ბიჭი
თათრული ტომი

წიწვოვანი მცენარე
ჩვენი ლვინო
შუშა

ქამანი / ია (.....)
(.....) ერგასის დღე
სწრაფი პარტია ჭადრაკში
ქურქელი

პიროვნითი-ნიშნების სისტემა
ზეთის ნემსიწვერა
ესპანეთის ქალაქი

ტროპიკების მცენარე
იაპონიის ოლიგარქია
იტალიის ქალაქი
ბრავო!
ქიმიური ელემენტი
არა

დიალექტი / ძვ.ბერძნ. ენა
მსუბუქი ტიხარი იაპონურ სახლში
(.....) მტრობას დაუნგრევია....
სპილბერგის უცხოპლანეტელი

## 2002 წლის გაზაფხულის საკროსვორდო ჩემპიონატი. უმაღლესი ლიგა. VII ტური.



**თარაზულად:**

**1**. სამხრეთამერიკელი ინდიელების გადასაადგილებელი სატრანსპორტო საშუალება.

**4**. (**საპრიზო კითხვა №1**) ფერუმარილის წასასმელი ქსოვილი.

**7**. (**საპრიზო კითხვა №2**) „აუზისპირა ქუჩაზე" მცხოვრები დაბნეული კაცის შემქმნელი.

**13**. ამჟამად კახი კალაძესთან და ანდრეი შევჩენკოსთან მცხოვრები ხალხის წინაპრების მიერ სახელდანათლული დაწესებულება. **14**. წარსულის საბჭოელი ჩოგბურთელი ქალი. **15**. აფრიკული ქვეყნის დედაქალაქი. **18**. ფრანგი ფილოსოფოსი, ეტიენ ბონო დე... (1715-1780). **19**. ფრენსის ბეკონი, ტომას ჰობსი, ჯონ ლოკი, ჯორჯ ბერკლი... რა აერთიანებს მათ?

**22**. (**საპრიზო კითხვა №3**) ორი ბრიტანელის, კომპოზიტორ ენდრიუ ლოიდ ვებერისა და პოეტ ტიმ რაისის მიერ შექმნილი ცნობილი მიუზიკლი.

**23**. თანამედროვე ამერიკელი მწერალი, ავტორი „ბოცვერის" შესახებ შექმნილი ტეტრალოგიისა. **24**. პროფესია ადამიანისა, რომელსაც ესვრიან ფრანსუა ტრიუფოს ცნობილი ფილმის სათაურში.

**28**. (**საპრიზო კითხვა №4**) (ამის თარგმნა, ალბათ, არ ღირს, თუმცა კი შეგვიძლია) <u>*геом*</u>. **Кривая, обладающая тем свойством, что отрезок ее касательной в любой точке от точки касания до определенной прямой имеет одну и ту же длину.**

**29**. ქალაქ ძაუ-ჯიყაუს უფრო გავრცელებული სახელწოდება ფშავ-ხევსურეთში. **30**. აბრევიატურა, რომელიც ამშვენებს კათოლიკურ ჯვარცმებს. **34**. ვინ იყო კონკია თავისი დედინაცვალისათვის?



**35**. (**საპრიზო კითხვა №5**) ცხვრის ბინის განაპირა ადგილი (ალ. ყაზბეგის შემოქმედებაში ეს სიტყვა ასეა განმარტებული).

**36**. (**საპრიზო კითხვა №6**) ქალის მთავარი როლის შემსრულებელი ფილმებში „შემოდგომის ლეგენდები" და „ციმბირელი დალაქი".

**37**. რა ერქვა ფრანგი მწერალი ქალის, ელზა ტრიოლეს მეუღლეს? **42**. რა აერთიანებთ ნანსს და მეცს? **43**. სპორტული ორგანიზაციის მოსახელე ასპარეზობა წარსულში. **46**. დიდი სკანდინავიელი კომპოზიტორი. **47**. რეჟისორი რომელმაც ენტონი ბერჯესის გახმაურებული რომანის ეკრანიზაცია გადაიღო 1972 წელს. **48**. ქვეყანა სკანდინავიურ მითოლოგიაში, სადაც ადამიანები სახლობდნენ.

**52**. (**საპრიზო კითხვა №7**) რა გვარია ფოტოზე გამოსახული ქალბატონი?

**53**. ობობისმაგვარი შხამიანი ცხოველი. **57**. „მზიური ველის" რა შეიქმნა 1941 წელს?. **58**. კაცობრიობის ერთ-ერთი უდიდესი მესაათე, აბრაჰამლუი... (1747-1823).

**59**. (**საპრიზო კითხვა №8**) ჰიმალაების ერთ-ერთი უდიდესი მწვერვალი.

**62**. ოთხი ასო, რომელიც აკავშირებს ევროპას ადამიანის ორგანიზმთან. **63**. ლაქესისის და ატროპოსის მესამე და ძველ ბერძნულ მითოლოგიაში. **64**. წარსულის ცნობილი ევროპელი საფეხბურთო მწვრთნელის გვარი გაიხსენეთ.

**65**. (**საპრიზო კითხვა №9**) სიმბოლურად ორი ძროხის მომცველი სახელის მქონე არსების სახელიც გაიხსენეთ.

**66**. რა იყო „სეზამ"-ი ალი-ბაბასათვის? **67**. ლუდთან დაკავშირებული ყველანაირი „ხარახურის" შეგროვება.

**68**. (**საპრიზო კითხვა №10**) კაცი, რომლის გვარი ნამდვილად ადასტურებს მის თანამდებობრივ „გზამკვლევობას".

**შვეულად:**

**1**. კინორეჟისორი, რომელიც საკუთარი სახელით „აკავშირებს" ჰოლივუდს ავსტრალიასთან. **2**. გვარი კაცისა, რომელიც გრინევიცკიმ სიცოცხლეს გამოასალმა.

**3**. (**საპრიზო კითხვა №11**) მიხაილ ლერმონტოვის ერთ-ერთი ლირიული შედევრის მთავარი პერსონაჟი.

**5**. რესპუბლიკა რუსეთის ფედერაციაში. **6**. გამომწვარი თიხის ნაკეთობათა წარმოება?

**8**. (**საპრიზო კითხვა №12**) ერთი ანეკდოტის თანახმად „ტიტანიკი" ოთხმა ებრაელმა ჩაძირეს: პირველი ამათგან აისბერგია... აქ ერთ-ერთი ჩაწერეთ დარჩენილი სამი ებრაელიდან.

**9**. ქალაქი ჩრდილოეთ ნიგერიაში. **10**. დასავლელქართველთა მუსიკალური მემკვიდრეობის ერთ-ერთი ნიმუში. **11**. მარცვლეული კულტურა. **12**. ქრისტიანობის ერთ-ერთი უმთავრესი განშტოება. **16**. სატვირთო გემის კაპიტანი. **17**. რაიმე საქონლის გრძელვადიანი კრედიტით გაყიდვა.

**20**. (**საპრიზო კითხვა №13**) ფრედი მერკურის ნამდვილი გვარი.

**21**. ყველაზე მნიშვნელოვანი ცნება „ტოტალიზატურულ ბიზნესში".

**25**. (**საპრიზო კითხვა №14**) ამხანაგიც მწყემსობაში და მერცხლის მაგვარი შავი ჩიტიც.

**26**. არამიწიერი სილამაზის ხილვისათვის ქალღმერთის მიერ დასჯილი ყმაწვილი.

**27**. (**საპრიზო კითხვა №15**) სერიალ „საიდუმლო მასალების" გამომძიებელი საიდუმლო აგენტის გვარი.

**31**. რა არის მთვარეზე ბევრი? **32**. აშშ-ს ერთ-ერთი უმსხვილესი კორპორაცია კომპიუტერულ ბიზნესში.

**33**. (**საპრიზო კითხვა №16**) სკანდინავიური მითები ასე იწყება: „თავიდან არაფერი არ იყო, არც მიწა, არც ქვიშა და არც ცივი ტალღები. იყო მხოლოდ შავი უძირო უფსკრული"... რა ერქვა ამ შავ, უძირო უფსკრულს?.

**38**. ანტონ ჩეხოვის „თოლიას" პერსონაჟი. **39**. ლუდის წარმოებით ყველაზე განთქმული ქალაქი აშშ-ში. **40**. ქალაქი, სადაც საკუთარმა ცოლმა ქმარს აკლდამა აუგო, რომელსაც შემდგომში ქმრის სახელი უწოდეს. **41**. მდინარე დასავლეთ ევროპაში.

**44**. (**საპრიზო კითხვა №17**) კაცის მთავარი როლის შემსრულებელი აკირა კუროსავას ცნობილი ფილმის ჰოლივუდურ რიმეიკში.

**45**. როგორია უარყოფით მოვლენებთან შეგუების პოლიტიკის გატარების მცდელობა? **49**. დახრილი სასტამბო შრიფტი.

**50**. (**საპრიზო კითხვა №18**) „სადაურია" პრაქსიტელეს აფროდიტე?

**51**. ნებადამრთველი სიტყვა მზის არსებობისათვისაც კი. **54**. გვარი კაცისა, რომელიც მითოლოგიური პერსონაჟის მოსახელე და ერთი ფრანგის მიერ შექმნილი კაპიტნის მოგვარე გახლდათ.

**55**. (**საპრიზო კითხვა №19**) მაჯის საათების მწარმოებელი ქალაქი რუსეთში („ჩაიკა").

**56**. ჰერმესის მიერ გაბითურებული ურჩხული ძველბერძნულ მითოლოგიაში. **60**. ჭადრაკის ფიგურა.

**61**. (**საპრიზო კითხვა №20**) ორი ელამი თვალიდან ერთ-ერთის არატრადიციული სახელი.

**კიდევ 10 ქულას მიიღებთ, თუ მე-12 გვერდის დავალებებს გაართმევთ თავს.**

# 2002 წლის გაზაფხულის საკროსვორდო ჩემპიონატი. პირველი ლიგა. VIII ტური.

**ერთთვიანი იძულებითი პაუზის შემდეგ, იმედია, კვლავ განაგრძობთ ჩვენს ტურნირში მონაწილეობას.**



**თარაზულად:**

**1**. მოთქმა, ტირილი, ანუ ის, რისი კედელიც არის იერუსალიმში. **4**. სოფელი გურჯაანის რაიონში. **8**. დიდი ქართველი პოეტის სახელიც, ხეც და ადის-აბებას სამრეწველო გარეუბანიც.

**14**. (**საპრიზო კითხვა №1**) ანტიკური ეპოქის ქალაქი ყირიმში, თანამედროვე ქერჩის ტერიტორიაზე, ბოსფორის სახელმწიფოს დედაქალაქი.

**15**. ერთეულთა საერთაშორისო სისტემის (ე.წ. გაუსის სისტემის) ერთ-ერთი ძირითადი ერთეული, გრამთან და წამთან ერთად. **17**. საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი 1932-1952 წლებში.

**18**. (**საპრიზო კითხვა №2**) აცტეკთა თეთრსახიანი ღმერთი, რომლის წარმომადგენლებიც ეგონა იმპერატორ მონტესუმას კორტესი და მისი რაზმი.

**21**. მადამ ტიუსოს მუზეუმის ფიგურების მასალა. **22**. მიმდინარეობა ფსიქოლოგიაში, რომელიც უკავშირდება დიდი ავსტრიელი მეცნიერის გვარს. **23**. ერთად შეყრილი ხალხი, ბრბო. **27**. ინგლისელი ზღვაოსანი, რომლის ტრაგიკულ ბედსაც სიმღერა მიუძღვნა ვისოცკიმ.

**28**. (**საპრიზო კითხვა №3**) საქართველოს „ბებერი“ მხარე ანა კალანდაძის შემოქმედების თანახმად.

**29**. „ემანსიპაციის ობიექტი“ რუსთაველის ცნობილ აფორიზმში. **30**. მრგვალი რიცხვი, ათვლის ერთეული ზოგი ხალხის თვლის სისტემებში. **31**. პაკისტანის სახელმწიფო ენა.

**36**. (**საპრიზო კითხვა №4**) ის, რის „ნოსტალგიაზეც“ ხშირად მღერიან ჩვენს ტელეეთერში.

**37**. კოსმონავტის სამოსი ღია კოსმოსში. **41**. მერიის შენობა დასავლეთ ევროპის ქალაქებში. **42**. გარეულ ცხოველთა გარკვეული კოლექტივი, რომელსაც ადამიანებმა უარყოფითი ჟღერადობა მიანიჭეს. **43**. თერძის იარაღი. **47**. ლითონი, რომელიც ასიოდე წლის წინ ვერცხლზე უფრო ძვირად ფასობდა.

**48**. (**საპრიზო კითხვა №5**) ზოროასტრიზმის აჰურამაზდა მეორენაირად.

**49**. ევროპის ჯუჯა სახელმწიფო. **53**. ზაალ ერისთავის საყვარელი სიტყვა მიხეილ ჯავახიშვილთან.

**54**. (**საპრიზო კითხვა №6**) ერთ-ერთი ექსტრემუმი.

**55**. ქალის დამახასიათებელი უარყოფითი ეპითეტი.

**58**. (**საპრიზო კითხვა №7**) ვინმე შლაგის სასულიერო ტიტული საბჭოთა კინოდან.

**59**. (**საპრიზო კითხვა №8**) კახეთის სამეფოს ქორეპისკოპოსების სახელი.

**60**. ყვავილი, რომელმაც მე-17 საუკუნის დასაწყისის ჰოლანდიაში უმართავი ფინანსური ციებ-ცხელება გამოიწვია. **64**. ოქროსფერი საღებავით შესრულებული შემკულობა წიგნისა და ა.შ. **65**. ერთ-ერთი სპირტის რადიკალი - $C_2H_5$. **66**. ჯოყოლა - ზვიადაურის მიმართ.

**67**. (**საპრიზო კითხვა №9**) წვნიანი კერძი, რომელსაც ერთმა პატარა ფრანგულმა ქალაქმა მისცა სახელი.

**68**. (**საპრიზო კითხვა №10**) ქუთაისის უბანი.

**69**. შვილიშვილი გურიაში.

**შვეულად:**

**1**. უკრაინული ცეკვა. **2**. უკრაინული წარმოშობის რუსი მწერალი, ავტორი რომანისა „თავადის ქალი ტარაკანოვა“. **3**. გაერთიანებული ევროპის და ნატოს „დედაქალაქი“.

**5**. (**საპრიზო კითხვა №11**) ოპტიკური ხელსაწყოს ხვრელის კუთხური ზომა.

**6**. „კაზაკთა“ მდინარე.

**7**. (**საპრიზო კითხვა №12**) თბილისის ამაოხრებელი ჯალალედინის სამშობლო ძველქართულად.

**9**. ეკონომიკური ობიექტი, რომლის სახელწოდება ხშირად ერევათ საომარ, სარეკლამო თუ სხვა სახის მოქმედების სახელთან. **10**. ესპანეთში გავრცელებული ერთ-ერთი ენა. **11**. ნედლი ტოტის წნელი პირუტყვზე „ფიზიკური ზემოქმედების“ განსახორციელებლად.

**12**. (**საპრიზო კითხვა №13**) მოქანდაკის საჭრეთელი.

**13**. სიტყვა, რომელიც ორჯერ ფიგურირებს ცნობილი ოპერის სახელის „იაპონურ“ ვარიანტში. **16**. პრესის მოსახსენებელი ერთ-ერთი სიტყვა. **19**. წიწვოვანი ხე. **20**. გამოსახულება, რომლის დასახელებაშიც ერთი ფრანგი მინისტრის გვარი განზოგადდა.

**24**. (**საპრიზო კითხვა №14**) ქალაქი და ტბა ალბანეთში.

**25**. (**საპრიზო კითხვა №15**) საბჭოთა ეპოქაში იყო ასეთი დევიზი: „×òîá ñêàçêó ñäåëàòü áûëüþ”. გაიხსენეთ გვარი მწერლისა, რომელიც სატირიკოსმა ბახჩანიანმა აქ სიტყვა „ზღაპრის“ ნაცვლად ჩასვა

**26**. კინოფილმის გადაღებისთვის აუცილებელი რამ. **32**. საღამოს ტრაპეზი. **33**. მე-19 საუკუნის ფრანგი მხატვარი. **34**. თამაშგარე მდგომარეობა ანუ? **35**. უკმაყოფილების გამოხატვა, საჩივარი, სარჩელი. **38**. (თუნდაც) გაზეთების დასაწყობი სადგამი. **39**. ჯვარზე გაკრული ქრისტეს ქანდაკება, ჯვრის ფორმისა.

**40**. (**საპრიზო კითხვა №16**) ბერბერულ-მუსლიმანური სექტა და დინასტია, რომლებიც მართავდნენ ესპანეთის ნაწილს და ჩრდილოეთ აფრიკას XI-XII საუკუნეებში.

**44**. ზომიერი ტემპი მუსიკაში.

**45**. (**საპრიზო კითხვა №17**) იგივეა, რაც კონსტანტა.

**46**. ქართული სამკურნალო წიგნი.

**50**. (**საპრიზო კითხვა №18**) ქმედება, რომლის წინაც „წყალქვეშას“ დაწერა ტავტოლოგიის ტოლფასი იქნება.

**51**. ძველი სახელმწიფო შუამდინარეთის ტერიტორიაზე. **52**. მეძავი ქალი, ანუ?

**56**. (**საპრიზო კითხვა №19**) მეცხოველეობის პროდუქტი, რომლითაც გატენილ ტომარაზე, თითქოსდა ზის ბრიტანეთის პარლამენტის სპიკერი.

**57**. ოპიუმი „აღმოსავლურ-ძველქართულად“. **61**. ფროილაინის მომავალი.

**62**. (**საპრიზო კითხვა №20**) ძველი რუსი (ვიკინგი) თავადის იგორის მეუღლე, კიევის მმართველი მისი მოკვლის შემდეგ.

**63**. მდინარე ამაზონსა და ორინიკოში მობინადრე დელფინი.

**კიდევ 10 ქულას მიიღებთ, თუ მე-12 გვერდის დავალებებს გაართმევთ თავს.**

**ტურის პასუხები მიიღება 20 აპრილს, 11-დან 14 საათამდე თბილისელი მკითხველებისაგან და 21 აპრილს, ამავე საათებში, რაიონში მცხოვრები პირველლიგელებისაგან.**

**გთხოვთ, დარეკვას ბოლო წუთებისათვის ნუ გადადებთ**

## ვიცნობდეთ ერთმანეთს „ფანტაზიელები“




### ამონაწერი ავტობიოგრაფიიდან

დავიბადე 1967 წლის 16 დეკემბერს, თბილისში, თოვლიან ღამეს (...იმ ღამის *თოვლიანობა* თავად ქალბატონმა ლელამ დააკონკრეტა რედაქციის მოთხოვნის გარეშე...).

1984 წელს დავამთავრე თბილისის 51-ე საშუალო სკოლა, 1989 წელს კი მივიღე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტის კურსდამთავრებულის დიპლომი. მას შემდეგ ვეწევი პედაგოგიურ შრომას. ამჟამად ვმუშაობ თბილისის ერთ-ერთ უძველეს და კოლორიტულ 74-ე საშუალო სკოლაში... ულამაზეს პედკოლექტივში (...პედკოლექტივის *ულამაზესობაც* თავად ქალბატონმა ლელამ დააკონკრეტა, რედაქციის ჩარევის გარეშე...)

მყავს ორი ვაჟკაცი: გიორგი და ლუკა. (ამჯერად რედაქცია, ქალბატონი ლელას თხოვნის გარეშე, აკონკრეტებს, რომ ეს ვაჟკაცები მართლაც კარგი ბიჭები არიან და ღმერთმა სიკეთე მისცეს მათ!...)

### ორიოდ სიტყვა „შეწყვეტილ სიმღერაზე“, რასაც თავად მკითხველები კვლავაც „ფანტაზიას“ უწოდებენ

„ორიოდე წლის წინ გავეცანი გაზეთ „ფანტაზიას“ (...*რედაქციამ დააზუსტა, რომ ეს ორიოდე წელი 140-ე ნომრის შემდეგ გრძელდება*), მაგრამ კონკურსებში მონაწილეობას ვერ ვბედავდი, იმდენად ერუდირებული და მაღალი დონის კროსვორდები იბეჭდებოდა მასში.

ბოლოს გავბედე, ჩავერთე კონკურსში პრინციპით - „მთავარია მონაწილეობა და არა გამარჯვება“ - და შევეჭიდე ბუმბერაზ კროსვორდისტებს!...“

### სარედაქციო ჩანართი

*ერთხელ რამაზ ჩხიკვაძემ ასეთი რამ გაიხსენა: სერგო ზაქარიაძე ჭინჭრაქაში დევს რომ თამაშობდა, სიტყვა „ბუმბერაზს“ ვერ იმახსოვრებდა და მას ხშირად „ბემურაზით“ ცვლიდაო...*

*ჩვენს შემთხვევაში კი ვადასტურებთ, რომ ქალბატონმა ლელამ ზუსტად „ბუმბერაზი კროსვორდისტები“ ახსენა და ერთხელაც არ შეშლია ამ სიტყვის წარმოთქმის სიზუსტე!...*

### კიდევ ერთი პასაჟი „შეწყვეტილი სიმღერიდან“

კონტაქტებიც დავამყარე ამ „ბუმბერაზებთან“ ბატონი რედაქტორის დახმარებით (*აქ ქალბატონმა ლელამ ეპითეტი „ბუმბერაზი“ აღარ მოიშველია, რადგან, როგორც ჩანს, არ ჰქონდა სრული გარანტია იმისა, რომ სიტყვას კვლავაც სწორად წარმოთქვამდა მოცემული კონკრეტული პირის მიმართ*); შევიძინე სასიამოვნო და საინტერესო ნაცნობები (თუ მეგობრები?!) ისე იმავე ბატონი რედაქტორის დახმარებით (...გვარს არ დავასახელებ). დავაკონკრეტე პრინციპიც - **„რად გვინდა კროსვორდი, თუ მისი შევსებით ახალს არაფერს ვისწავლით“** (?!)

...მოუთმენლად ველი პარასკევს, როცა გაზეთი გამოდის! მის ფურცლებზე, კროსვორდების გარდა, ქვეყნდება მრავალი საინტერესო რუბრიკა, უნიკალური ენციკლოპედია, ლექსიკონები, რომლებშიც ამოუწურავი ინფორმაციის მოპოვებაა შესაძლებელი.

მაშ, გაუმარჯოს „ფანტაზიას“!

### სარედაქციო ეპილოგი

*ვეცდებით „ფანტაზიელთა“ უფრო ფართო სპექტრი წარმოვადგინოთ ჩვენს რუბრიკაში და მხოლოდ საკროსვორდო ჩემპიონატის მონაწილეებით არ შემოვიფარგლოთ, რადგან ღრმად გვწამს, რომ „ფანტაზიას“ მხოლოდ „ბუმბერაზები“ არ კითხულობენ.*

## ათი კითხვა საკროსვორდო ჩემპიონატის ორივე ლიგის მონაწილეთათვის (აქვე ჩავრთეთ რამოდენიმე კითხვა, რომელიც კონკრეტულად საფეხბურთო ვიქტორინისათვის გვქონდა მომზადებული)

## ფანტაზიორი

1. დიადი გეოგრაფიული აღმოჩენების ეპოქაში „ეს“ არანაკლებად საჭირო იყო მეზღვაურებისათვის, ვიდრე მტკნარი წყალი. გემბანის სარდაფები სავსე იყო „ამით“ და, რაც მთავარია, მას შეეძლო თვეების განმავლობაში შერჩენოდა საკვებად გამოსადეგი თვისებები. გემის კაპიტნები ხშირად შემოვლითი გზებით არჩევდნენ ცურვას, ოღონდ კი სადმე კუნძულზე ეშოვნათ „ეს“. მეზღვაურები იმასაც ამბობდნენ, „ეს“ ღვთისაგან ბოძებული კონსერვიაო...

**რა იგულისხმება?**

2. ეს ინგლისური სიტყვა ახლა აქტიურად, სამწუხაროდ, ჩვენს ენაშიც შემოიჭრა. ის ორი ფუძისაგან შედგება და დროის 7 ერთეულიან მონაკვეთს აღნიშნავს, ამავე ანალოგიით შექმნილი ქართული სიტყვა კი 2 წლით უფრო მეტ დროს მოიცავს...

**რა სიტყვა იგულისხმება?**

3. ჰოლანდიის ფეხბურთელთა ნაკრების ფორვარდი დენის ბერკამპი ძალზედ ცუდადაა განწყობილი ავიაციისადმი. იგი თითქმის ყველგან ავტომობილით ან მატარებლით მიემგზავრება, ამიტომაც ხშირად ნაკრების შემადგენლობაში აცდენს ხოლმე მატჩებს და განსაკუთრებით ოკეანისგაღმა ტურნეებში...

**რა მეტსახელი შეუთხზეს ჟურნალისტებმა დენის ბერკამპს?**

4. 1966 წელს ინგლისში ჩატარებული მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატის მატჩების მსვლელობისას ბრიტანული გაზეთები ბევრს წერდნენ ეუსებიოს, როგორც „მეკარეთა რისხვის“ შესახებ; ინგლისელ მეკარეს გორდონ ბენქსს კი „თავდამსხმელთა რისხვას“ უწოდებდნენ; ლეგენდარული ფრანც ბეკენბაუერი, ამავე გაზეთების აზრით, რისხვა იყო მეკარეებისათვისაც და თავდამსხმელებისთვისაც.

**რომელი საბჭოელი ფეხბურთელი იყო „კომენტატორთა რისხვა“ და რატომ?**

5. ცნობილ იტალიელ თავდამსხმელს, ფაბრიციო რავანელის ერთი ასეთი უცნაური ჩვევა აქვს - ყოველი გატანილი გოლის შემდეგ მაისურს იგი თავზე წამოიცმევს ხოლმე. ცნობილია, რომ რავანელის ინგლისურ ფეხბურთთან დიდი კავშირები აქვს, ამ ქვეყანაში კი მსგავს საქციელს, როგორც წესი, საკმაოდ მკაცრად სჯიან, მაგრამ რავანელისათვის გამონაკლისი დაუშვეს და, თქვენ წარმოიდგინეთ, საკმაოდ სარგებლიანადაც გამოიყენეს ამ თეთრთმიანი იტალიელის უცნაური ჩვევა, რაც მას ვერაფრით მოაშლევინეს.

**მაინც რა მოიმოქმედეს საფეხბურთო სამყაროს საქმიანი წრეების წარმომადგენლებმა?**

6. ერთი თავისი თანმემამულის შესახებ ინგლისელმა დიდოსტატმა ნაიჯელ შორტმა ასეთი აზრი გამოთქვა: მას ძალზედ უყვარდა გამბიტური დებიუტები, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ დასაწყისში ბევრად უფრო მეტ ფიგურას წირავდა, ვიდრე ეს მოვლენათა შემდგომი განვითარების და წარმატების მიღწევისთვის იყოო საჭირო

**ვის გულისხმობდა ნაიჯელ შორტი?**

7. მიხეილ ტალმა ერთხელ თქვა, რომ დიდი მოჭადრაკეები, შესაძლოა, დიდ კომპოზიტორებს შევადაროთო. ასე მაგალითად: ბოტვინიკი, მისი აზრით, ჰგავდა ბახს, სმისლოვი - ჩაიკოვსკის, პეტროსიანი - ლისტს... საკუთარი სტილი კი გენიალურმა რიგელმა მოჭადრაკემ შეადარა ე.წ. მსუბუქი ჟანრის შემქმნელ კომპოზიტორს, მაგრამ, რაც მთავარია, მაინც „მეფეს“!

**ვინ იგულისხმა მიხეილ ტალმა?**

8. ერთმა კრიტიკოსმა გონებამახვილურად აღნიშნა - პუშკინს XIX კი არა, XX საუკუნის დასაწყისში რომ ეცხოვრა, მის ცხოვრებასთან დაკავშირებული ერთი ცნობილი თარიღი მხოლოდ ერთი ციფრით შეიცვლებოდაო

**რა თარიღია ეს?**

9. „...იგი ბედისაგან დაწყევლილია; სადაც ის ფეხს დგამს, იქ ბალახი აღარ იზრდება; ამხანაგები მას გამუდმებით ზურგს აქცევენ...“

**ვის შესახებ ამბობენ არგენტინაში ასე?**

10. როგორც თვითმხილველები ამბობენ, ლონდონის მეტროში გარკვეული დროის წინ ეკიდა პლაკატი, რაზედაც თავის ტვინის 4 სახესხვაობა იყო გამოხატული, რომელთაგან სამი აბსოლუტურად ერთი ზომის იყო, მეოთხე კი ბევრად უფრო პატარა. პირველის ქვეშ ეწერა - „ევროპელის ტვინი“, მეორის ქვეშ - „აფრიკელის ტვინი“, მესამის ქვეშ - „ინდიელის ტვინი“

**რა ეწერა ყველაზე პატარა ტვინის ქვეშ?**

Estudio Español

*ესპანური ენის შემსწავლელთათვის*

# მეხუთე გაკვეთილი (19.04.2002 წ.)

ერთთვიანი „არდადეგების“ შემდეგ განვაგრძოთ მეცადინეობა

## გრამატიკა

- **ზმნა estar** (ყოფნა, მდებარეობა), რომელიც ინდივიდუალური უღლების კატეგორიას განეკუთვნება.

| Presente de Indicativo | აწმყო დრო |
|---|---|
| მხოლობითი რიცხვი | მრავლობითი რიცხვი |
| yo estoy | nosotros, - as estamos |
| tú estas | vosotros, -as estais |
| Vd. esta | Vds. estan |
| él esta | ellos estan |
| ella esta | ellas estan |

1) ზმნა **estar** გამოიყენება ამა თუ იმ პირის ან საგნის ადგილმდებარეობის აღსანიშნავად.

Pedro esta en Tbilisi - პედრო იმყოფება (არის) თბილისში.
Yo estoy aqui - მე ვიმყოფები (ვარ) აქ.
Los libros estan en la mesa - წიგნები მაგიდაზეა (დევს).
El perro esta en la calle - ძაღლი ქუჩაშია.

2) ზმნა **estar** გამოიყენება დროის აღმნიშვნელ კონსტრუქციებშიც.
Esta 15 de septiembre - დღეს 15 სექტემბერია.
Esta principios de mes - თვის დასაწყისია

3) ზმნა **estar** გამოიყენება ამგვარ სიტყვათშეთანხმებებშიც:
Como esta Vd.? - როგორ ხართ?
Esta bien - ეს კარგია.
Esta mal - ეს ცუდია.
Esta de modo - მოდაშია
Esta prohibido - აკრძალულია.
Estar acuerdo - თანახმა ყოფნა.
Estar de buen humor - კარგ გან-წყობაზე ყოფნა

- **ზმნა hacer** (კეთება, შესრულება), რომელიც ინდივიდუალური უღლების კატეგორიას განეკუთვნება.

| Presente de Indicativo | აწმყო დრო |
|---|---|
| მხოლობითი რიცხვი | მრავლობითი რიცხვი |
| yo hago | nosotros, - as hacemos |
| tú haces | vosotros, -as haceis |
| Vd. hace | Vds. hacen |
| él hace | ellos hacen |
| ella hace | ellas hacen |

Yo hago muchos ejercicios - მე ბევრ დავალებას ვასრულებ.
Vd. hace los deberes de casa - თქვენ საშინაო დავალებას ასრულებთ.
Pablo hace gimnasia - პაბლო ვარჯიშს ასრულებს.
Que hace Elena? - რას აკეთებს ელენე?
Donde hace Vd. los deberes de casa? - სად ასრულებთ საშინაო დავალებას?
Que hacer? - რა ვაკეთოთ?

- ზმნა hacer მრავალ ასეთ სიტყვათშეთანხმებაში გამოიყენება:
Hace frio - ცივა.
Hace calor - ცხელა.
Hace sol - მზიანი ამინდია.
Hace viento - ქარია.
Hace buen tiempo - კარგი ამინდია.
Hace falta - საჭიროა.

- კიდევ მაგალითები:
Hace mucho tiempo - დიდი ხანია.
Hace unos dias - რამდენიმე დღეა.
Hace una hora - ერთი საათის წინ.

- ბრძანებითი კილოს თავაზიანი ფორმა Hacer el favor + ინფინიტივი (გეთაყვა, იყავით მოწყალე, გთხოვთ).

| | |
|---|---|
| haga Vd.<br>no haga Vd. | hagan Vds.<br>no hagan Vds. |

Haga Vd. el favor de llamar al Pedro (= Por favor, llama Vd. al Pedro) - გთხოვთ (გეთაყვა) დაურეკეთ პედროს.

## თვლა

| | | | |
|---|---|---|---|
| ერთი - un(o) | ექვსი - seis | პირველი - primer(o) | მეექვსე - sexto |
| ორი - dos | შვიდი - siete | მეორე - segundo | მეშვიდე - septimo |
| სამი - tres | რვა - ocho | მესამე - tercer(o) | მერვე - octavo |
| ოთხი - cuatro | ცხრა - nueve | მეოთხე - cuarto | მეცხრე - noveno |
| ხუთი - cinco | ნული - cero | მეხუთე - quinto | მეათე - decimo |

## დროის აღნიშვნა

- Que hora es? - რომელი საათია?
Es la huna - პირველია.

- A que hora? - რომელ საათზე?
A la una - პირველზე.

Son las dos en punto - ზუსტად ორი საათია.
Son las tres y cinco - სამიდან ხუთია გადასული.
Son las cuatro y cuarto - ხუთის თხუთმეტი წუთია.
Son las seis y veinte - შვიდის ოცი წუთია.
Son las siete menos diez - შვიდს აკლია 10 წუთი.
Son las ocho menos cuarto - რვას აკლია 15 წუთი.

## ტექსტი

### EN CLASE

**Estamos en clase de español. Somos ocho estudiantes. El aula donde estudiamos es clara y espaciosa. Esta en el tercer piso. En el aula hay mesas, sillas, una pizarra, un armario, dos mapas y un calendario muy bonito. La mesa del profesor esta entre la ventana y la puerta. Sobre la mesa del profesor hay libros, revistas, lapices, boligrafos y cuadernos. Las mesas de los estudiantes estan delante de la mesa del profesor. La ventana es ancha, la puerta es estrecha. El armario esta detras de las mesas de los estudiantes y en frente de la mesa del profesor. Los dos mapas estan en la pared, a la izquierda de la mesa del profesor, y el calendario esta a la derecha. Las paredes del aula son amarillas, el techo es blanco y el suelo es de madera. A las nueve en punto entra el profesor. El profesor saluda en español y nosotros contestamos tambien en español. En clase hablamos, leemos, escribimos y hacemos muchos ejercicios. Ya hace un mes que estudiamos español. El español no es un idioma dificil.** (ტექსტის თარგმანი იხილეთ ქვემოთ)

## ლექსიკონი

en clase - გაკვეთილზე
somos ocho - რვანი ვართ
aula - აუდიტორია
claro - ნათელი
espacioso - ფართო
piso - სართული
armario - კარადა
mapa - რუკა
calendario - კალენდარი
bonito - ლამაზი
entre - შორის
ventana - ფანჯარა
puerta - კარი
en la mesa - მაგიდაზე
sobre la mesa - მაგიდაზე
encima de la mesa - მაგიდაზე
saludar en español - ესპანურად მისალმება.
contestar - პასუხის გაცემა
preguntar - კითხვის დასმა
tambien - აგრეთვე
ejercicio - სავარჯიშო
boligrafo - ბურთულიანი კალამი
delante de - წინ
enfrante de - პირდაპირ
detras de - უკან
encima de - ზემოთ
ancho - განიერი
estrecho - ვიწრო
pared - კედელი
a la derecha - მარჯვნივ
a la izquierda - მარცხნივ
amarillo - ყვითელი
techo - ჭერი
suelo - იატაკი
ya - უკვე

## დიალოგი

**- Donde esta la sala de lectura?**
**- En el quinto piso.**
**- Hay ascencor?**
**- Si, esta a la izquierda.**
**- Es grande la sala de lectrura?**
**- Si, ed muy grande, clara y soleada.**
**- Cuantas ventanas hay en la clasa?**
**- Hay cuatro ventanas enfrante de la puerta.**
**- Hay en la sala de lectura muchas mesas y sillas?**
**- Si, hay muchas mesas, sillas, mapas, diagramas, etc.**
**- Que hay sobre las mesas?**
**- Sobre las mesas hay libros, periodicos, revistas y carteras de los estudiantes.**
**- Que hacen los estudiantes en la sala de lectura?**
**- Leen los periodicos del dia y articulos interesantes en las revistas economicas.**
**- Cuantas horas estan los estudiantes en la sala de lectura?**
**- Dos o dos horas y media.**
**- Muchas gracias.**
**- De nada.**

sala de lectura - სამკითხველო დარბაზი.
ascensor - ლიფტი
soleado - მზიანი
periodicos del dia - ახალი გაზეთები.

## ტექსტის თარგმანი

ჩვენ ესპანური ენის გაკვეთილზე ვიმყოფებით. ჩვენ რვა სტუდენტი ვართ. აუდიტორია, სადაც ვმეცადინეობთ, ნათელი და ფართოა. ის მესამე სართულზე მდებარეობს. აუდიტორიაში არის მაგიდები, სკამები, დაფა, კარადა, ორი რუკა და ძალიან ლამაზი კალენდარი. პროფესორის მაგიდა დგას ფანჯარასა და კარს შორის პროფესორის მაგიდაზე არის წიგნები, ჟურნალები, ფანქრები, ბურთულიანი კალმები და რვეულები. სტუდენტების მაგიდები პროფესორის მაგიდის წინ დგას. ფანჯარა არის განიერი, კარი კი ვიწრო. კარადა სტუდენტების მაგიდების უკან დგას. ორი რუკა კედელზეა, პროფესორის მაგიდის მარცხნივ, კალენდარი კი - მარჯვნივ. აუდიტორიის კედლები ყვითელია, ჭერი თეთრია, იატაკი - წითელი. ზუსტად ცხრა საათზე პროფესორი შემოდის. პროფეორი ესპანურად გვესალმება და ჩვენც ესპანურად ვპასუხობთ. გაკვეთილზე ჩვენ ვლაპარაკობთ, ვკითხულობთ, ვწერთ და ბევრ სავარჯიშოს ვასრულებთ. უკვე ერთი თვეა, რაც ესპანურს ვსწავლობთ. ესპანური არ არის ძნელი ენა.

*მასალა დამუშავებულია „ფანტაზიის“ რედაქციის მიერ*

# მე-20 საუკუნის 500 ყველაზე ცნობილი ადამიანი

325. მოჰამედ რეზა ფეჰლევი
**Pahlavi, Mohammed Reza**
(1919-1980)
ირანის შაჰი

რეზა ფეჰლევი ირანის შაჰი 1941 წელს გახდა მას შემდეგ, რაც მამამისმა უარი თქვა ტახტზე. 1953 წელს პრემიერ-მინისტრმა მოსადეყმა ეჭვსქვეშ დააყენა შაჰის ძალაუფლება, მაგრამ რეზა ფეჰლევიმ აშშ-ს დახმარებით მაინც შეძლო ტახტის შენარჩუნება; 1963 წლიდან შაჰმა დაიწყო ქვეყნის გადაყვანა დასავლური ცხოვრების პრინციპებზე, რასაც მუსლიმანი ფუნდამენტალისტების დიდი წინააღმდეგობა დახვდა და საბოლოოდ 1979 წელს აიათოლა ჰომეინის ხელმძღვანელობით ირანში მონარქის ინსტიტუტის გაუქმება მოჰყვა. შაჰი გარდაიცვალა ემიგრაციაში ჯანმრთელობის გაუარესების გამო.

326. ულაფ პალმე
**Palme, Olaf** (1926-1986)
შვედი პოლიტიკოსი

უმაღლესი განათლება სტოკჰოლმის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე და აშშ-ში მიიღო. 50-იანი წლების დასაწყისიდან აქტიურ პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩაერთო და შვედი სტუდენტების ლიდერი გახდა. 1963 წელს მთავრობის კაბინეტში შეიყვანეს როგორც განათლების მინისტრი. 1969-76 წლებში და 1982 წლიდან იყო შვედეთის პრემიერ-მინისტრი. 1986 წელს ცეცხლსასროლი იარაღით მოკლულ იქნა სტოკჰოლმის ცენტრში.

327. ბორის პასტერნაკი
(1890-1960)
რუსი მწერალი

ბორის პასტერნაკი რუსულ ლიტერატურას 1914 წელს მოევლინა და შემდგომ მისი ერთ-ერთი უდიდესი წარმომადგენელი გახდა. 50-იან წლებში შექმნა რომანი „დოქტორი ჟივაგო“ საბჭოთა ინტელიგენციის ცხოვრების შესახებ, რისთვისაც ნობელის პრემია მიენიჭა, მაგრამ საბჭოთა მთავრობის მუქარის გამო იძულებული გახდა უარი ეთქვა ამ პრემიაზე.

328. ლაინუს პოლინგი
**Pauling,Linus** (1901-1994)
ამერიკელი ქიმიკოსი

ლაინუს პოლინგის სახელს, გარდა ფუნდამენტალური გამოკვლევებისა ფიზიკასა და ქიმიაში და საუკუნის ეპოქალური აღმოჩენებისა, საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობაც უკავშირდება. იგი ილაშქრებდა აშშ-ს აგრესიის წინააღმდეგ ინდოჩინეთში და სათავეში ედგა ბირთვული იარაღის გამოცდისა და გამოყენების საწინააღმდეგო კამპანიას. მინიჭებული აქვს ნობელის პრემია ქიმიის (1954 წ.) და მშვიდობის დარგში (1962 წ).

329. ჯორჯ პატონი
**Patton, George**
ამერიკელი გენერალი
(1885-1945)

თავი გამოიჩინა მეორე მსოფლიო ომში ევროპისა და აფრიკის ტერიტორიაზე განხორციელებული საბრძოლო ოპერაციების დროს. ჯორჯ პატონმა უშუალო მონაწილეობა მიიღო ბერლინის საბოლოო განთავისუფლებაში ფაშისტთა მმართველობისაგან. დაიღუპა ავტოკატასტროფაში.

330. ივან პავლოვი
(1849-1936)
რუსი ფიზიოლოგი

სამართლიანად ითვლება საუკუნის ერთ-ერთ უდიდეს მეცნიერად და ფიზიოლოგიური სკოლის შემქმნელად. 1904 წელს მიენიჭა ნობელის პრემია. 20-30-იან წლებში აქტიურად ილაშქრებდა საბჭოთა კავშირის პოლიტიკისა და აზროვნების თავისუფლების დათრგუნვის წინააღმდეგ

331. ი.მ. პეი
**Pei, I.M.** (1917-)
არქიტექტორი
















დაიბადა ჩინეთში. 1935 წელს სწავლის გაგრძელების მიზნით გადასახლდა აშშ-ში. დაამთავრა ჰარვარდის უნივერსიტეტი. ახალი ფორმებისა და კონსტრუქციების ძიებამ ი.მ.პეის საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი არქიტექტორის სახელი მოუხვეჭა. შექმნილი აქვს არაერთი ნაგებობა მთელი მსოფლიოს მასშტაბით, რაც საყოველთაო აღიარებას იმსახურებს.

332. პერეს შიმონი
**Pers, Shimon** (1923-)
ისრაელის სახელმწიფო მოღვაწე

დაიბადა პოლონეთში. 1934 წელს გადასახლდა ისრაელში. ახალგაზრდული ასაკიდანვე შეუდგა სამხედრო და პოლიტიკურ კარიერას. ხანგრძლივი დროის განმავლობაში ეკავა მაღალი პოსტები ისრაელის თავდაცვის სამინისტროში. 60-იანი წლების დასაწყისში შეიყვანეს ისრაელის პარლამენტში. 1974-77 წლებში იყო თავდაცვის მინისტრი. 1984-86 და 1995-96 წლებში ასრულებდა ქვეყნის პრემიერ-მინისტრის მოვალეობას. 1994 წელს რაბინთან და არაფატთან ერთად მიენიჭა ნობელის პრემია მშვიდობის დარგში

333. ფრენსის პერკინსი
**Perkins, Francis** (1882-1962)
მუშათა მოძრაობის ლიდერი

აქტიურ ცხოვრებას რიგითი მუშის სტატუსით შეუდგა. შემდეგ მიიღო უმაღლესი განათლება და პოლიტიკურ ცხოვრებაშიც ჩაერთო. აქტიურად თანამშრომლობდა პრეზიდენტ ფრანკლინ რუზველტის ადმინისტრაციასთან და 12 წლის განმავლობაში ეკავა აშშ-ს შრომისა და სოციალური უზრუნველყოფის უმაღლესი უწყებრივი პოსტები.

334. ხუან პერონი
**Peron, Juan** (1895-1974)
არგენტინის სახელმწიფო მოღვაწე

1913 წლიდან სამსახური დაიწყო შეიარაღებულ ძალებში. 1947 წელს შექმნა საკუთარი პოლიტიკური პარტია, რომელიც „ხუსტისიალიზმის“ (სამართლიანობის) პრინციპებზე იყო დაფუძნებული. 1943-45 წლებში იყო შრომის მინისტრი, შემდეგ სამხედრო მინისტრის თანამდებობა მიიღო, ჰქონდა ვიცე-პრეზიდენტის პოსტი. 1946-55 წლებში კი არგენტინის პრეზიდენტი და ფაქტიური დიქტატორი გახდა. 1955-73 წლებში გაძევებულ იქნა ქვეყნიდან, მაგრამ ემიგრაციაშიც განაგრძობდა პოლიტიკურ საქმიანობას. 1974 წელს დაბრუნდა სამშობლოში, მაგრამ მოულოდნელმა სიკვდილმა ხელი შეუშალა მის რეაბილიტაციას პოლიტიკურ არენაზე.

335. ჯონ პერშინგი
**Pershing, John** (1860-1948)
ამერიკელი გენერალი

ერთ-ერთი უმაღლესი სამხედრო პოსტი ჯერ კიდევ 1886 წელს მიიღო, მონაწილეობდა ამერიკა-ესპანეთის ომსა და ფილიპინების კრიზისთან დაკავშირებულ სამხედრო კამპანიაში. 1914 წელს პრეზიდენტმა ვილსონმა ჯონ პერშინგი პირველ მსოფლიო ომში მონაწილე აშშ-ს სამხედრო ძალების სარდლად დანიშნა, საიდანაც სამშობლოში გმირის სახელით დაბრუნდა.

336. ანრი ფილიპ პეტენი
**Petain, Phipippe** (1856-1951)
ფრანგი სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწე

1878 წლიდან სამხედრო სამსახური დაიწყო და უმალ მიაღწია ხელმძღვანელ პოსტებს, რაც საბოლოოდ მარშლის სამხედრო წოდებიდ მიღებით დასრულდა. განსაკუთრებით გამოიჩინა თავი 1916 წელს საფრანგეთ-გერმანიის ომის ფრონტზე, სადაც ეროვნული გმირის საპატიო ტიტული დაიმსახურა. 1917 წლიდან სათავეში ედგა საფრანგეთის შეიარაღებულ ძალებს. მეორე მსოფლიო ომის წლებში წლებში იყო საფრანგეთის მთავრობის ხელმძღვანელი და „ვიშის“ რეჟიმის ლიდერი. 1945 წელს მიესაჯა სიკვდილით დასჯა, რაც მუდმივი პატიმრობით შეუცვალეს.

337. პეტერი. პოლი და მერი
**Peter, Paul & Mary**
ფოლკლორული მუსიკის წარმომადგენლები

პეტერი (იაროუ), პოლი (სტოკი) და მერი (ტრავერსი) 1960 წელს დაუკავშირდნენ ერთმანეთს და მუსიკალური ჯგუფი შექმნეს. ორიოდე წლის განმავლობაში მათ ძალზედ საინტერესო ალბომები გამოუშვეს, სადაც თავმოყრილი იყო აშშ-ს ფოლკლორული მუსიკის საუკეთესო ნიმუშები. ისინი, მუსიკის გარდა, აქტიურ პოლიტიკაშიც იყვნენ ჩართულნი და მთელ მსოფლიოში მოგზაურობდნენ საკუთარი იდეებისა და მუსიკის პროპაგანდისათვის.

338. პაბლო პიკასო
**Picasso, Pablo** (1881-1973)
მხატვარი

პაბლო პიკასოს არტისტული ბუნება და ხელოვნებისადმი სწრაფვა ბავშვობიდან და ადრეული სიყმაწვილიდანვე გამოვლინდა, რაც საბოლოო ჯამში გენიის ჩამოყალიბებით დასრულდა.

პიკასო დაიბადა ესპანეთში, ქალაქ მალაგაში, მაგრამ ცხოვრების უმეტესი ნაწილი საფრანგეთში გაატარა. ეტაპები, რაც პიკასომ რეალიზმიდან პრიმიტივიზმამდე და კუბიზმიდან აბსტრაქციონიზმამდე გაიარა მთელი ეპოქის ხელოვნებისათვის განმსაზღვრელი ნიშანსვეტი შეიქნა. პიკასო არასოდეს შემოსაზღვრულა მხოლოდ ფერწერით და გამომსახველობითი ხელოვნების თითქმის ყველა დარგს (ქანდაკებას, გრაფიკას, კერამიკას, თეატრალურ მხატვრობას) დაამჩნია თავისი უდიდესი ტალანტი.

პიკასოს შემოქმედებას არანაირი საზღვარი არ გააჩნდა არც ფანტაზიის და არც გეოგრაფიის თვალსაზრისით და ამიტომაც დაიმსახურა XX საუკუნის უდიდესი ხელოვანის ტიტული.

რუსი ჰოკეისტი

ფადეევის გრომოვა

იტალიელი კომიკოსი

ლატვიური რადიომიმღები

ფიშერმა მოუგო 6:0

გამეორება

ნაწილაკი

ზესატფონის სოფელი

აზიის ჯუჯა ქვეყანა

თბილისში გვაქვს ჭრელი

გამოსადეგი

პაუზა

კრედიტი

საწყალი მეფე

აქვს ბგერას და ფერს

სასოფლო წინსართი

ვისი მეგობარი იყო ტატო?

პერსონა ნონ (......)

ნატო

ნატიფი ტანის

აზიის მდინარე

მამაკაცის ბერძნ. სახელი

ძველი ფრანგი ფეხბურთელი

(......) ლესკო

იმერეთის მხარე

მარო, რიტა (......) ტიბეტში

კონსტიტუცია

ძველი ყირიმი

(....)-მტკიცი

სპირალური მოლეკულა




დადგა ქამი ანუ?

ჯაბუა ნანის მამის როლში

(......) ნოვოტნა

ჩანჩქერ ვიქტორიას აღმომჩენი

(......) კოტლი ესტონ. არქიტექტორი

არსაკიძის მხარე

პოლონეთი მდინარე

მთვარის მუსიკა

ლანჩხუთის სოფელი

რუმინეთის ქალაქი

ვიტალი - მოკლედ

45

35

Column clues (columns 1–45, numbers from top to bottom):

| Column | Clues |
|---|---|
| 1 | 2 |
| 2 | 4 |
| 3 | 1 6 |
| 4 | 1 5 |
| 5 | 1 1 4 |
| 6 | 1 1 4 |
| 7 | 4 3 |
| 8 | 4 4 |
| 9 | 3 4 6 |
| 10 | 4 4 9 1 |
| 11 | 6 5 2 7 3 |
| 12 | 11 10 1 |
| 13 | 5 16 1 1 1 |
| 14 | 7 18 3 |
| 15 | 5 14 1 |
| 16 | 3 14 1 1 |
| 17 | 5 13 3 |
| 18 | 4 12 |
| 19 | 2 6 5 |
| 20 | 2 5 4 |
| 21 | 3 3 |
| 22 | 3 |
| 23 | 3 1 1 |
| 24 | 2 2 |
| 25 | 1 1 3 |
| 26 | 3 |
| 27 | 3 3 |
| 28 | 2 5 4 |
| 29 | 2 6 5 |
| 30 | 4 12 |
| 31 | 5 13 |
| 32 | 3 14 |
| 33 | 5 14 3 |
| 34 | 7 15 1 1 |
| 35 | 5 15 1 |
| 36 | 25 3 |
| 37 | 4 16 1 1 1 |
| 38 | 3 5 2 6 1 |
| 39 | 3 6 7 3 |
| 40 | 3 7 9 1 |
| 41 | 3 2 5 |
| 42 | 3 1 4 |
| 43 | 4 1 4 |
| 44 | 3 5 |
| 45 | 1 7 |

Row clues (rows 1–35, numbers from left to right):

| Row | Clues |
|---|---|
| 1 | 1 1 |
| 2 | 1 1 2 |
| 3 | 1 4 3 |
| 4 | 1 7 |
| 5 | 9 |
| 6 | 1 1 8 3 |
| 7 | 1 2 1 9 1 3 |
| 8 | 7 1 3 1 6 |
| 9 | 7 1 1 13 |
| 10 | 9 13 |
| 11 | 2 9 13 |
| 12 | 4 8 17 |
| 13 | 6 3 15 |
| 14 | 13 1 11 |
| 15 | 13 11 |
| 16 | 12 9 |
| 17 | 11 13 |
| 18 | 9 2 15 |
| 19 | 10 19 1 |
| 20 | 10 1 15 2 |
| 21 | 8 17 |
| 22 | 12 14 |
| 23 | 13 2 12 |
| 24 | 17 2 2 3 |
| 25 | 13 1 1 1 1 |
| 26 | 14 5 2 |
| 27 | 14 1 1 |
| 28 | 14 2 5 |
| 29 | 6 3 2 1 |
| 30 | 4 1 1 2 |
| 31 | 3 2 5 |
| 32 | 1 1 1 |
| 33 | 5 2 |
| 34 | 1 |
| 35 | 2 |


Kate Winslet

# კეიტ უინსლეტი

*მსოფლიო კინოს 50 ქალღმერთი*

*გამოშვება № 39*

**დაიბადა 1975 წლის 5 ოქტომბერს**

* * *

კეიტ უინსლეტი დიდი ბრიტანეთის ქალაქ რიდინგში დაიბადა. მისი მშობლები საკმაოდ ცნობილი და მდიდარი მსახიობები იყვნენ და შვილსაც ეს პროფესია დააბედეს, რადგან უკვე 5 წლის ასაკში სცენაზე შეადგმევინეს ფეხი.

მთელი ბავშვობა ისე გაატარა ამ მშვენიერმა გოგონამ, რომ სცენაზე მხოლოდ ანგელოზებს და ფერიებს თამაშობდა, ერთი-ორჯერ მარიამ ღვთისმშობლის ბავშვობის როლიც შეასრულებინეს. მოგვიანებით, უფრო ცნობილი მსახიობი რომ გახდა, მისთვის მხოლოდ ჰაეროვანი ქალწულების როლები ჰქონდათ გამზადებული და ისიც ისტორიულ ფილმებსა თუ სპექტაკლებში. სხვა არანაირი ტიპაჟი მის გარეგნობას არ უხდებოდა, კეიტი აუცილებლად უნდა ყოფილიყო მომხიბლავი, მოკრძალებული და მორცხვი გოგონას როლში. თვით მარკიზ დე სადის შესახებ შექმნილ ფილმშიც კი მოუნახეს მას ამგვარი ხასიათის პერსონაჟი!...

სხვათა შორის, კეიტი 11 წლიდან საგანგებოდ სწავლობდა დრამატული ხელოვნების საფუძვლებს და სხვა არანაირი სკოლა არ დაუმთავრებია, გარდა სასცენო ხელოვნების განხრით არსებულისა.

* * *

ძნელი მისახვედრი არაა, რომ კეიტ უინსლეტს თავზე საყრელად ჰქონდა როლები თეატრსა და ტელევიზიაში, კინოში კი შედარებით მოგვიანებით, 1994 წელს გამოჩნდა და ეს პიტერ ჯექსონის ფსიქოლოგიური ტრილერი „ციური ქმნილებები“ იყო.



მთელმა მსოფლიომ კი კეიტის არსებობა, რა თქმა უნდა, გაიგო უკანასკნელი ათწლეულის ყველაზე წარმატებული, ყველაზე ძვირადღირებული და დრამატული ფილმით - „ტიტანიკით“, რომელიც რეჟისორმა ჯეიმზ კემერონმა გადაიღო.

ეს ფილმი ყველას კარგად გახსოვთ და ისიც გეხომებათ, თუ როგორ მომენტალურად იქცა ლეონარდო დი კაპრიო (კეიტის მიჯნურის როლის შემსრულებელი) მთელი პლანეტის სექს-სიმბოლოდ. მთელი მსოფლიო იმ ფაქტის წინაშე დადგა, რომ დი კაპრიოს ფოტო აუცილებლად უნდა ყოფილიყო გამოსახული ყმაწვილქალების მაისურებზე, სუვენირებზე თუ საძინებელი ოთახის კედლებზე. „ტიტანიკის“ წყალობით დი კაპრიომ მრავალმილიონიანი შეთავაზებები მიიღო სხვადსხვა რეჟისორებისაგან და ბრწყინვალედაც გამოიყენა ეს შანსი მაშინ, როცა კეიტ უინსლეტი ჩვეულებრივი ადამიანის ყოფით განაგრძობდა ცხოვრებას და ვერც ვერავინ შეატყობდა მას, რომ კინემატოგრაფის ერთ-ერთ კაშკაშა ვარსკვლავად იქცა.

**„ტიტანიკიდან“ ყველასათვის კარგად ნაცნობი კეიტ უინსლეტი, ჩვენი აზრით, უკვე იმსახურებს 50 ქალღმერთს შორის დასახელებას... თქვენ რას ფიქრობთ?**



**„ტიტანიკამდე“ ორჯერ იყო წარდგენილი „ოსკარის“ ნომინაციაზე ფილმებისათვის: „გონება და გრძნობა“ (1995 წ) და „ჰამლეტი“ (1996 წ)**

კეიტი „ტიტანიკის“ შემდეგაც კი არ თანხმდებოდა რეჟისორებს, რომლებიც უაზრო ეფექტებით სავსე ფილმებში მონაწილეობას სთავაზობდნენ და მხოლოდ საინტერესო პროექტებს აქცევდა ყურადღებას და თანაც იმ პირობით, თუ მასში მაღალი დონის მსახიობები იქნებოდნენ დაკავებულნი. დიახ, პოპულარობამ მას თავბრუ არ დახვია, არ დაეხარბა დიდ ჰონორარებს და არც თავქარიანი ბოჰემურობით აღსავსე ცხოვრება გაიკარა ახლოს.

**პირველი სიყვარული**

ამერიკაში გამართულ პომპეზურ პრეზენტაციას „ტიტანიკისას“ კეიტი არ დაესწრო ერთი უბრალო, უფრო სწორად ტრაგიკული მიზეზის - გამო კეიტი თავისი პირველი შეყვარებულის დამკრძალავ ცერემონიას ვერ გამოაკლდა. იგი მაშინ 22 წლის იყო, მის უნუგეშობას არაფერი შეედრებოდა ქვეყნად და სწორედ მაშინ მივიდა მასთან მსოფლიო დიდება.

კეიტის პირველი სიყვარული (...და, როგორც ამბობენ, მამაკაციც) იყო სტივენ ტრედრი, - პროფესიით კინოსცენარისტი - რომელიც მასზე 12 წლით უფროსი იყო. მათ ერთმანეთი 1994 წელს გაიცნეს, როცა კეიტი ერთ-ერთ რესტორანში მიმტანის სპეციალობას ეუფლებოდა. სამი წლის შემდეგ კი მძიმე სენით დაავადებულმა სტივენმა კეიტ უინსლეტის ხელზე დაყრდნობილმა დალია სული. ასე სევდიანად დასრულდა პირველი დიდი და ლამაზი გრძნობა...

* * *

„ტიტანიკისათვის“ ნაწინასწარმეტყველებმა წარმატებამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ამ ფილმმა მის შემქმნელებს და სპონსორებს, 200 მილიონი დოლარის გარდა, სხვადასხვა ნომინაციის 14 „ოსკარიც“ მოუტანა. მართალია, ჟიურიმ კეიტ უინსლეტი მხოლოდდამხოლოდ ნომინანტების რანგში დატოვა, მაგრამ სუპერვარსკვლავის რეპუტაცია მის პიროვნებას მჭიდროდ დაუკავშირდა.

**„მე არ ვთვლი, რომ მსუქანი, თუნდაც ჩასუქებული ვარ... მე ნორმალური, ბუნებრივი და ჯანმრთელი ქალი გახლავართ. მე თითსაც არ დავაკარებ თითზე იმისათვის, რომ გამხდარ-აჩონჩხლილ მოდელებს დავემგვანო, რადგან მსახიობი ვარ და, რაც მთავარია, ვარ ქალი!“**

* * *

სხვათა შორის, 1998 წელს „ლოს-ანჯელეს მეგეზინმა“ 40 წლამდე ასაკის პლანეტის ყველაზე ცნობილი ადამიანების სია გამოაქვეყნა და კეიტს აქ ერთ-ერთი მაღალი ადგილი მიაკუთვნა; ჟურნალმა „People“-მა კი ეს ქალბატონი პლანეტის 50 ულამაზეს ადამიანს შორის დაასახელა.

* * *

23 წლის ასაკში კეიტი ჯიმ ტრიპლტონს გაჰყვა ცოლად; ეს კაცი რეჟისორის ასისტენტად მუშაობდა, ვერანაირი ელიტარულობით ვერ დაიკვეხნიდა და ასაკიც შესაფერისად არაფრისმთქმელი გააჩნდა - 24 წელი.

მათ ერთმანეთი მაროკოში, გადაღებებზე გაიცნეს, ინგლისში დაბრუნებისთანავე კი, სრულიად გასაიდუმლოებულ ვითარებაში იქორწინეს, თუმცა ორიოდე პაპარაციმ მაინც მიუსწრო კეიტს მაშინ, როცა ეკლესიიდან გამოდიოდა.

კეიტს ყველაზე დიდ ნაკლად ის მიაჩნია, რომ ძალზედ ბევრს ეწევა, გატაცებით კი მხოლოდდამხოლოდ თევზაობა იტაცებს და საათობით შეუძლია ანკესით ხელში მდინარის პირას ყურყუტი, რაც, სხვათა შორის მისმა მეუღლემაც გაიზიარა და, როგორც ამბობენ, ახლადშეუღლებულთა ეს ჰობი, მათი ოჯახური ბედნიერების მყარი გარანტია გახდა.

2000 წლის ოქტომბერში ბედნიერ წყვილს შეეძინა გოგონა, რომელსაც სახელად მია დაარქვეს. ბავშვის დაბადებამ თითქოს კიდევ უფრო დააკავშირა ერთმანეთთან ეს ორი ადამიანი; ჟურნალ „People“-თან გამართულ საუბარში კეტიმა ასე ხატოვნად აღწერა თავისი ცხოვრება:

**„ასე კარგად ჯერ არასოდეს გაგვივია ერთმანეთისთვის. ქორწინება ძალზედ სასიამოვნო თავგადასავალი ყოფილა და მიხარია, რომ ჯიმთან ერთად მიხდება მასში მონაწილეობა.“**

* * *

მაგრამ ცაზე მაინც გამოჩნდა საავდრო ღრუბლები და ქორწინების სამი წლისთავზე ჯიმმა განქორწინების მოთხოვნით სასამართლოში სარჩელი შეიტანა... ატყდა მითქმა-მოთქმა და საბოლოოდ, ჭორის დონეზე დადგინდა, რომ განქორწინების მიზეზი კეიტის ღალატია, რასაც იგი ზემოთხსენებული ზედმეტი ქალურობით ხსნიდა, მაგრამ პრესამ მაინც ვერ დაადგინა - ჰქონდა თუ არა ადგილი ღალატს - და ისღა დარჩენოდა, რომ პუბლიკას ამცნო - კეიტი და ჯიმ კარგი მეგობრების სტატუსით შორდებიანო ერთმანეთს...

ერთი სიტყვით, კინოს სამყაროს ერთ-ერთმა ყველაზე მყარმა და რომანტიულმა ოჯახმა კრახი განიცადა და წარსულს ჩაბარდა...

მომავალი კი, რა თქმა უნდა, ეკუთვნის კეიტ უინსლეტს, რომელიც, როგორც უკვე აღინიშნა, სრული სერიოზულობით აცხადებს, რომ მას ქალად ყოფნა უფრო ხიბლავს, ვიდრე მხედველობის დამატკბობელ არსებად გადაგვარება...

რას გაუგებ ამ ქალებს?!




## ისტორიული ექსკურსი

არსებობს აზრი, რომ ამერიკის კონტინენტი ვიკინგებამდე და კოლუმბამდე ბევრად უფრო ადრე ციმბირის რეგიონებიდან სანადიროდ გადმოხვეწილმა ადამიანებმა აღმოაჩინეს და ეს დაახლოებით 6 000 წლის წინ, გამყინვარების პერიოდის დასასრულს მოხდა.

### რუსი პირველაღმომჩენები

1741 წელს ვიტუს ბერინგის ხომალდის ეკიპაჟის წევრები პირველი ევროპელები იყვნენ, ვინც ალასკის მიწაზე დაადგეს ფეხი. მაშინ მათ სამი ტომობრივი გაერთიანება დახვდათ, რომლებიც **ტლინგიტის**, **ჰაიდას** და **ციმშიანის** სახელით იყვნენ ცნობილნი. ეს ტომები ჯერ კიდევ მატრიარქატის ეპოქის წეს-ჩვეულებებით ცხოვრობდნენ და მათი ძირითადი საარსებო საშუალება თევზჭერა იყო.

### ესკიმოსები და ალეუტები

XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან ალასკის აბორიგენებს შორის წარმმართველი როლი ესკიმოსებმა მიიკუთვნეს, რომლებსაც უკვე შეეძლოთ დიდი ზომის ზღვის ცხოველებზე ნადირობა და პრიმიტიულ მიწათმოქმედებასაც მისდევდნენ. ესკიმოსები ალასკის მთელ სანაპირო ზოლზე დასახლდნენ და საკმაოდ საინტერესო კულტურულ-რელიგიური გარემოც შექმნეს.

ალასკი მიმდებარე კუნძულებზე კი ალეუტის ტომის წარმომადგენლები დასახლდნენ. ისინი, გარდა თევზჭერისა, ნადირობასაც მისდევდნენ და ციმბირის მოსაზღვრე რეგიონების მოსახლეობასთან სავაჭრო ურთიერთობანიც ჰქონდათ გაბმული.



ესკიმოსების ოჯახი

### ალასკის ათვისება

XVIII საუკუნის ბოლოს ალასკას ყურადღება ესპანელებმაც მიაპყრეს, მათ კვლას ფრანგები და ბრიტანელებიც მიჰყვნენ; 1778 წელს კი ინგლისელმა კაპიტანმა ჯეიმზ კუკმა ამ რეგიონის დეტალური რუკა შექმნა, მაგრამ ალასკაზე მაინც რუსები დომინირებდნენ, რომლებმაც 1812 წელს დაარსებულ რუსეთ-ამერიკის კომპანიის სახელით მთელი ნახევარკუნძულის ეკონომიკური ათვისება დაიწყეს.

1843 წლიდან აშშ-მ ალასკის საკუთარ ინტერესებში მოსაქცევად გამიზნული კამპანია წამოიწყო, რაც 20 წელზე მეტხანს გაგრძელდა და საბოლოოდ 1867 წელს მთელი რეგიონის შესყიდვით დასრულდა.

# ალასკა

**ალასკა** (Alaska) აშშ-ს შემადგენლობაში არსებული უდიდესი შტატია, რომელიც მდებარეობს ამერიკის კონტინენტის უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში და აზიისაგან 82 კილომეტრიანი ბერინგის სრუტითაა გამოყოფილი.

ეს რეგიონი 1741 წელს რუსმა ზღვაოსანმა-მოგზაურნა ვიტუს ბერინგმა აღმოაჩინა, 1867 წელს კი აშშ-მ რუსეთისაგან სახელმწიფო მდივნის უილიამ სიუარდის ხელით 7,2 მილიონ დოლარად შეისყიდა

**1959 წლის 3 იანვარს** ალასკა აშშ-ს **რიგით 49-ე შტატად** გამოცხადდა,

* * *

ალასკა თავისი გეოგრაფიული თავისებურებებით დედამიწის ერთ-ერთ ულამაზეს და იდუმალებით მოცულ რეგიონს წარმოადგენს. ეს არის კონტრასტებით აღსავსე სივრცე, სადაც ყინულით დაფარული მწვერვალები და უკიდეგანო ტრამალები, ქარი და მზე, თოვლი და წვიმა, სიცხე და ყინვა ერთად თანაარსებობენ.

ალასკას საკვანძო მდებარეობა უკავია ამრიკა-აზიის და წყნარი და ყინულოვანი ოკეანეების დამაკავშირებელ გზებზე.

* * *

სიტყვა „ალასკა" კუნძულებზე მობინადრე ალეუტელთა ენიდან უნდა მომდინარეობდეს და ნიშნავს დაახლოებით „მატერიკს (დიდ, მთავარ მიწას)", რაც თავდაპირველად უკიდურეს დასავლეთ ნაწილს ერქვა, შემდგომ კი მთელი ნახევარკუნძულის აღსანიშნავად გავრცელდა. სხვაგვარად ალასკას „უკიდურესი მიჯნა" და „შუაღამის მზეც" ჰქვია, რადგან მზე აქ ზაფხულობით მთელი დღე-ღამის განმავლობაში მოჩანს ჰორიზონტზე.



ტბა არიააქჩაკის ეროვნულ პარკში

**ალასკა** /əlrsk ə/

**ფართობი** - 1,593,438 კვ.კმ. (615,230 კვ.მილი) - აშშ-ს სიდიდით პირველი შტატი.

**მაქსიმალური სიგრძე** – 2240 კმ

**მაქსიმალური სიგანე** – 3550 კმ

**მოსახლეობა** - 607 000 (1995 წ).

**მოსახლეობის სიხშირე** - 2,6 ადამიანი - 1 კვ. კმ.-ზე

**ადმინისტრაციული ცენტრი** - ჯუნო



**დროშა** - *ლურჯ ფონზე განლაგებული პოლარული ვარსკვლავი და დიდი დათვის თანავარსკვლავედი*




**ღერბი** - *წარწერით* ***(The Seal of the State of Alaska)***;



**ფრინველი** - *გნოლი* ***(Willow Ptarmigan)***;



**ყვავილი** - *კესანე (ცისანა)* **(Forget-me-not)**



**ხე** - *ნაძვი* ***(Sitka Spruce)***.

**დევიზი** - *ინგლ.* - **North to the Future** *(ჩრდილოეთით მომავლისაკენ)*

- თანამედროვე ალასკა 25 ოლქადაა დაყოფილი.

- მოსახლეობის რაოდენობის მხრივ აშშ-ში 48-ე ადგილი უკავია. მთელი მოსახლეობის 76,5 %-ს თეთრკანიანები შეადგენენ, 8,1 % - ესკიმოსები არიან, 1,8% ეკუთვნით ალეუტელებს, 5,7%-ს შერეული რასის ადამიანები წარმოადგენენ, 4,2 % კი - შავკანიანები.

- ალასკის მოსახლეობა ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდაა თანამედროვე აშშ-ში, მისი 32% 18 წელზე ახალგაზრდა ადამიანებისაგან შედგება და მხოლოდ 4%-ია 65 წლის ასაკზე მეტი.

- პირველი რუსული მართლმადიდებლური ეკლესია ალასკაზე ჯერ კიდევ 1816 წელს აშენდა. მას შემდეგ აქ პროტესტანტები და კათოლიკებიც დასახლდნენ.

- ალასკის უდიდესი ქალაქებია: ანკორიჯი (255 000), ფერბენქსი (31 000), ჯუნო (26 ათასი), ნომი (5 000).

**ანკორიჯი (Anchorage)** ალასკის უდიდესი ქალაქია, რომელიც ამ შტატის ცხოვრების ყველა სფეროში წარმმართველ როლს ასრულებს. ეს არის აგრეთვე ალასკის მთავარი პორტი, სადაც უმთავრესი საერთაშორისო აეროპორტიცაა განლაგებული. ანკოროჯის მიდამოებში პირველი მოსახლენი XIX საუკუნის ბოლოს გაჩნდნენ; მოკლე ხანში ეს დასახლება რეგიონის ცენტრად იქცა.

1964 წლის 27 მარტს ანკორიჯში დამანგრეველი მიწისძვრა მოხდა.



ანკორიჯი

# საკროსვორდო ენციკლოპედია

**გვარიანი** - 1) საკმაოდ კარგი, რიგიანი. 2) დიდი, შესამჩნევი.
**გვარინი** (გუარინი) გვარინო - XVII საუკუნის იტალიელი არქიტექტორი.
**გვარინი** (გუარინი) ჯან ბატისტა - XVI-XVII სს იტალიელი პოეტი.
**გვარიშვილი** - ამა თუ იმ გვარის წარმომადგენელი.
**გვარიშვილობა** - წარჩინებული გვარის მქონებლობა.
**გვარლი** - კანაფის ან ფოლადის ბაგირი.
**გვარნერები** (გუარნერები) - XVII საუკუნეში ვიოლინოს იტალიელ ოსტატთა ოჯახი: ანდრეა, პიეტრო, ჯუზეპე.
**გვარტომი** - გვარი და ტომი, ამა თუ იმ მოდგმის შთამომავალი.
**გვარტომობა** - გარკვეულ გვართან და ტომთან ნათესავური კავშირი.
**გვარჯილა** - სხვადასხვა შემადგენლობის აზოტმჟავა მარილი.
**გვარჯილის** კლდე - მღვიმე ჭიათურასთან.
**გვაროვნობა** - იგივეა, რაც გვარეულობა.
**გვასალია** მოსე - XX საუკუნის მწერალი.
**გვატემალა** - 1) სახელმწიფო ცენტრალურ ამერიკაში. 2) გვატემალის დედაქალაქი.
**გვაშთხვა** - მდინარე სოხუმის რ, გრიბზის მარცხენა შენაკადი.
**გვაშტიბი** - სოფელი ხონის რ
**გვაშხარა** - მდინარე მესტიის რ
**გვანა-ზანდური** - ხორბლის ქართული ხალხური ჯიში პოპულაცია.
**გვახარია** გიორგი - კინომცოდნე.
**გვდა** - მდინარე პოლონეთში, ერთვის ნოტეცს.
**გველაძუა** - 1) გველის წიწილი. 2) ფლიდი, ორპირი ადამიანი.
**გველ-ბაყაყი** - ქვეწარმავლის სახეობა.
**გველბრუცა** - 75 სმ-მდე სიგრძის გველი.
**გველგესლა** - შხამიანი წვეწარმავალი, აქვს მსხვილი და მოკლე სხეული და კუდი, ბრტყელი თავი.
**გველეთი** - სოფლები ყაზბეგისა და დუშეთის რაიონებში.
**გველეთონა** - მდინარე მესტიის რ
**გველეშაპი** - ზღაპრული საზარელი ცხოველი.
**გველთევზა** - შავი ან მუქი მომწვანო ფერის თევზი, აქვს გველისებურად წაგრძელებული სხეული.
**გველესიანი** რომანოზ - XIX ს ფერმწერი და გრაფიკოსი.
**გველეშაპი** - 1) ქართული ზღაპრების პერსონაჟი, ბოროტი საწყისის განსახიერება. 2) (დრაკონი) პოლუსის მახლობელი თანავარსკვლავედი ცის ჩრდილოეთ ნახევარსფეროზე.
**გველთავა** - 1) ხვლიკისებრთა ოჯახის ქვეწარმავალი. 2) მტკნარი წყლის თევზი.
**გველთევზა** - გველისებრ წაგრძელებული თევზი, აღწევს 3 მეტრამდე სიგრძეს.
**გველი** - 1) უფეხო ქვეწარმავალი. 2) ბოროტი, გაიძვერა ადამიანი. 3) ცის ეკვატორზე მდებარე თანავარსკვლავედი.
**გველის** მდინარე - იგივე *სნეიკ რივერი.*
**გველისარა** - ქვეწარმავალი ანკარისებრთა ოჯახისა.
**გველისენისნაირი** - მრავალწლოვანი გვიმრის სახეობა.
**გველისმთა** - 1) კავკასიონის ჩრდილო კალთის მთა (3970 მ). 2) მთა კახეთის კავკასიონზე (3089 მ).
**გველისმჭერი** - ცის ეკვატორზე მდებარე თანავარსკვლავედი.
**გველისწყალი** - მდინარე ჯავის რ
**გველიყლაპია** - საშუალო ზომის არწივისებრი ფრინველი, ანადგურებს მავნე მღრღნელებს, გველებს.
**გველკუდა** - კანეკლიანების ტიპის ზღვის ცხოველი.
**გველნაკბენი** - ვისაც ან რასაც გველმა უკბინა.
**გველო** - ქალაქი ზიმბაბვეში.
**გველობა** - ფლიდობა, გაიძვერობა.
**გველფები და გიბელინები** - ორი მოწინააღმდეგე პოლიტიკური პარტია XII-XV სს იტალიაში.
**გველხოკერა** - უფეხო ხვლიკი, აქვს გველისებურად წაგრძელებული სხეული.
**გვემა** - ცემა, წამება.
**გვენცაძე** ივანე - სსრკ გმირი, მეორე მსოფლიო ომის მონაწილე.
**გვერაცი** (გუერაცი) ფრანჩესკო დომენიკო - XIX საუკუნის იტალიელი მწერალი.
**გვერგვი** (საყველური, კირკალი) - 1) ხის ან წნელის რგოლი, რომელსაც გადააცვამენ ღობის ორ სარს გასამაგრებლად. 2) კასრზე ჩამოცმული რკინის ან ხის სალტე.
**გვერგიშერი** - მწვერვალი მესტიის რ
**გვერდა** - ძალიან დაქანებული ადგილი.
**გვერდელა** - გვერდზე მოქცეული.
**გვერდი** - 1) სხეულის მარჯვენა ან მარცხენა ნაწილი. 2) განაპირა მხარე. 3) ქაღალდის ფურცელი.
**გვერდიგვერდ** - ერთმანეთის გვერდით.
**გვერდითი** ქედი - კავკასიონის მთავარი წყალგამყოფის ჩრდილოეთი პარალელური ქედი.
**გვერდისუბანი** - სოფლები ბორჯომის და ხაშურის რ
**გვერდნერვიანი** - მოლუსკების ტიპის უხერხემლო ცხოველი.
**გვერდნი** (გუერდნი) - საგალობელთა კრებული ქრისტიანულ ეკლესიაში.
**გვერდობი** - დაქანებული ადგილი.
**გვერდული** - იგივეა, რაც *მოგვერდი.*
**გვერდწითელი** 1) გურამ - ლიტერატურათმცოდნე, კრიტიკოსი. 2) თამარ - ესტრადის მომღერალი. 3) რუსუდან - არქიტექტორი.
**გვერეცა** - პატარა მაიმუნი ანთრისებრთა ოჯახისა.
**გვერუ** - ქალაქი ზიმბაბვეში.
